პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წლიწადი მეხუთე

კომუნისტი

[illegible] ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ. ცაკის ორგანო

რედაქცია ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48

რედაქციასთან საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6 500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მანეთი განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 204 ხუთშაბათი, 6 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250,000 მან. № 204

დღიური

— საშინელმა მიწისძვრამ თითქმის სრულიად [illegible] იაპონია; მრავალი ქალაქი მიწასთან არის გასწორებული. მიწის ძვრის შემდეგ გამოჩნდა რამოდენიმე ახალი კუნძული, რამდენიმე კი—მთელი მოსახლეობით ოკეანეში შთაინთქა.

— იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი [illegible]—მდგომარეობა გამოურკვეველია. მუსოლინი [illegible], ამბობს ერთა ლიგის შუამავლობაზე, თუმცა [illegible] თანხმობას აცხადებს კონფლიქტი საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემაზე.

— სტინესი მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის მრეწველებთან შეთანხმების შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 7 სექტემბერს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგი წამოაყენონ თვითონ საუბნო კომიტეტებმა და უჯრედებმა.
ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე,
რუსთაველის თეატრში დანიშნულია
საერთო საქალაქო პარტიული კრება
ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

აცხადებს საბჭოთა იმ წევრების საყურადღებოდ, რომელნიც ჩაწერილნი არიან ჯანმრთელობის სექციაში, რომ სექციის სხდომა დანიშნული 6 სექტემბერს გადადებულია ორშაბათისათვის 10 სექტემბერს.

პრეზიდიუმი.

ვინ დაჰგმო მენშევიზმი და დაშალა მისი ორგანიზაცია

„იაქეთ“ დარჩენილმა ეგრედ წოდებულმა მენშევიკურმა „ცეკამ“ აგერ წინაზე ლანძღვა-გინება დაადევნა მისკენ ზურგშექცეულ ქართველ მუშებს და გლეხებს. მაშინ მან ის აზრი გაატარა თავის ფურცელში, რომ თითქოს ყველა ისინი, ვინც დაჰგმო ყოფ. მენშევიკური პარტიის წარსული, მისი ოპორტიუნისტული თეორია და კონტრ-რევოლიუციონური პრაქტიკა,—წარმოადგენენ უმნიშვნელო ძალას. თავისთავად ცხადია, თუ „ცეკა“ დაამტკიცებდა, რომ ეს მართლა ასეა, რომ წარსულში ისინი მართლაც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდენ—მაშინ პოლიტიკურათ ის მოიგებდა და ყრილობის გადაწყვეტილებას აღარ ექნებოდა ის ავტორიტეტი, რომელიც მას დღეს უდავოთ აქვს. მაგრამ ამას ვერ შესძლებდა „ცეკა“ და ვერც შესძლო ეს მან, ვინაიდან სინამდვილეს გამოხატავს და ჭეშმარიტებას წარმოადგენს სულ წინააღმდეგი დებულება. ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს ამ დღეებში დათავებული მენშევიკური პარტიის ყრილობის სამანდატო კომისიის მასალები, რომელიც მოთავსებული გვქონდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

აღსანიშნავია პირველ ყოვლისა სოციალური შემადგენლობა ყრილობის.

როგორია ეს შემადგენლობა? ყრილობას დაესწრო ყოფ. პარტიის 11.250 წევრის წარმომადგენელი 221 დელეგატი, რომელთა შორის 127 მუშაა, 55 გლეხი, 20 მოსამსახურე და მხოლოთ 17 ინტელიგენტი. მენშევიკურ „ცეკას“ ყოველგვარი საშუალება აქვს მოსპობილი (გარდა ყუგლის მომთმენ ქაღალდისა) სთქვას, რომ მენშევიკების ყრილობაზე შეიკრიბნენ ვიღაც „ვიგინდარები“.

მაგრამ შეიძლება მდგომარეობით მშრომელი მუშა და გლეხი იყო, მაგრამ მოკლებული ყოველგვარ გამოცდილებას, რევოლიუციონური მუშაობის სტაჟს და ამიტომ შენი გადაწყვეტილება აღბეჭდილი იყოს სიჩქარით. როგორ არის ამ მხრივ საქმე?

სამანდატო კომისია ამ საკითხზედაც იძლევა მჭერმეტყველ პასუხს.

დელეგატთა საერთო რიცხვიდან 16 ამხანაგს დაუწყიათ მუშაობა პარტიულ საქმეზე 1895-დან 1900 წლამდე. 98 ამხანაგს—1901-დან 1906-მდე. 27 ამხანაგს—1907-დან—1914-მდე. ამნაირათ დელეგატთა დიდ უმრავლესობას აქვს 10-დან 30-მდე წლის სტაჟი. ამის შემდეგ ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული „ცეკა“ დაკარგავს „მადას“ ენა შეატრიალოს მენშევიკური პარტიის დღევანდელი ლიკვიდატორების წარსულის შესახებ და ეჭვი შეიტანოს ამ წარსულში.

ამ ციფრებიდანვე ცხადია მკითხველისათვის (და თვით ამ გასაოცარ „ცეკასათვისაც“), რომ დელეგატები შესდგებიან არა იმ „უწვერ-ულვაშო“ ახალგაზრდებისაგან, რომელნიც ერთ დროს სასაცილოთ ჰყავდათ აგდებული რევოლიუციის მტრებს, არამედ დავაჟკაცებულ და უმეტესათ ხანში შესულ ამხანაგებისაგან. საკმაოა ამის დასამტკიცებლათ ორი წყება ციფრის მოყვანა: 31-დან 40 წლამდე ჰასაკის იყვნენ 84 დელეგატი და 77 დელეგატიც 41 წლიდან 50 წლის.

თუ ამას მივუმატებთ იმას, რომ ყრილობის მთელი შემადგენლობიდან (221 დელეგატი) 191 დელეგატი იყო ქართველი, რასაც ასეთი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ხსენებულ „ცეკასათვის“—ცხადი შეიქნება ყველასათვის საერთო სურათი ყრილობის დელეგატების ხარისხობრივი შემადგენლობისა.

ამნაირათ საქართველოს ძველმა რევოლიუციონერ მუშებმა და გლეხებმა—შეკრებილებმა მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობაზე, რომელიც წარმოადგენდა ყოფილი მენშევიკური პარტიის 90 პროცენტს, ამ პარტიის მიმდევარ ძველ მუშებსა და გლეხებს,—დაჰგმეს მენშევიკური პარტიის იდეოლოგია და ტაქტიკა, გააუქმეს მისი ორგანიზაცია საქართველოში.

აგიტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში

V

ახალი თუ ძველი სტუდენტობა!

რევოლიუცია—ეს მარტო ეკონომიური და პოლიტიკური გადატრიალება როდია. ის მოასწავებს სრულ გადატრიალებას სულიერ დარგშიც. ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის შეცვლა ნიშნავს იმავე დროს ახალი სულიერი კულტურისათვის ნიადაგის მომზადებას. პროცესი იდეოლოგიური დარგის ცვლილებისა გაცილებით უფრო ნელია, ვინაიდან ის კონსერვატიული ძალაა, რომელიც მძლავრ წინააღმდეგობას უწევს ყოველ ახალ დაწყებულებას. მაგრამ ეს პროცესი ისტორიული და ლოღიკური აუცილებლობით თან მიჰყვება წინასწარ ეკონომიურ და პოლიტიკურ პროცესს. ეკონომიკა, პოლიტიკა, იდეოლოგია—ეს ერთი მონისტური მთელია, რომელიც ვითარდება და წინ მიდის დიალექტიკის კანონების მიხედვით.

ამრიგათ, როდესაც ჩვენ რევოლიუციაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს რევოლიუცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში. რევოლიუცია, ამხ. ტროცკის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ეს დიდი ისტორიული მოხვევაა ახალი მიმართულებით. სწვდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ კუნჭულს და სცვლის მას ძირბუდიანათ. ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ შესცვალა და სავსებით გადაახალისა ფეოდალური საზოგადოება. პროლეტარულმა რევოლიუციამ უნდა მოსპოს ყოველივე ძველი, რასაც აზის ბეჭედი წარმოების ბურჟუაზიული წესისა და მსოფლმხედველობისა. ჩვენს წინ არის ცოცხალი მაგალითი. რუსეთში კაპიტალიზმი დაეცა. ახალმა რევოლიუციონურმა ეპოქამ მოიტანა ახალი ეკონომიური, პოლიტიკური ურთიერთობა და მსოფლმხედველობა. საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი კუთხე გინდათ, რომ არ შენძრეულიყოს და ცოტათ თუ ბევრათ არ შეცვლილიყოს. გამარჯვებულმა პროლეტარულმა კლასმა მიზნათ დაისახა გარდაქმნა მთელი ცხოვრებისა. მას არასოდეს არ დაუვიწყია იდეოლოგიური ფრონტიც. რაღაც 4—5 წლის განმავლობაში დაპყრობილ იქნა თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლები. მოსკოვის დღევანდელი სტუდენტობა—ეს, ძველი ბურჟუაზიული სტუდენტობა როდია. მოსკოვის მრავალი ათეული და ასეული ათასი სტუდენტები თავისი კლასიური შემადგენლობით მუშური და გლეხურია. კონტრევოლიუციონური პროფესურის საბოტაჟი საბოლოოთ მოტეხილ იქნა. ნაწილობრივ ის შეურიგდა ახალ დროს, ნაწილმა კი მიატოვა მეცნიერული მუშაობა და არჩია კონტრევოლიუციონურ გენერლებთან მუშაობა. ამ ხუთი წლის დაუღალავი მუშაობით ჩვენ შევსძელით შექმნა ახალი უმაღლესი სასწავლებლებისა პროლეტარული სტუდენტობით. ჩვენ დღეს გვყავს მრავალი კომუნისტი პროფესორები, რომელნიც ცოდნით არ ჩამოუვარდებიან ძველ პროფესორებს. ისეთი უცოდველი დაწესებულებაც კი, როგორიც იყო პსიქოლოგიური ინსტიტუტი, მოექცა რევოლიუციონურ ზეგავლენის ქვეშ. ჩვენ დღეს იქაც გვყავს მარქსისტი პროფესორები. პირველი და მძიმე ხანა უმაღლესი სასწავლებლების დაპყრობისა გათავდა და იქ. ასე არ არის ჯერ საქართველოში. რაღაც ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვერ შევძელით აქაური უმაღლესი სასწავლებლის დაპყრობა. პირველი ნაბიჯები ამ დარგში გადადგმულია; მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა, რომ მოსკოვის პროლეტარულ სტუდენტობას ტფილისშიც მხარს უმშვენებდეს პროლეტარული და გლეხური სტუდენტობა. აქეთკენ უნდა იყოს აღბეჭდილი ჩვენი კურსი. როგორ შეგვიძლია ჩვენ მიზნის მიღწევა ამ დარგში? აქეთკენ ჩვენ იმავე გზებით უნდა წავიდეთ, რა გზებითაც წავიდნენ რუსეთში და მიაღწიეს კიდეც მიზანს. გამაგრება და გაძლიერება მუშათა ფაკულტეტისა, სადაც სტუდენტები უშუალოთ გადიან სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსზე, ერთის მხრივ—და გაზრდა ჩვენი ძალებისა პირველ კურსზე მეორეს მხრივ. მიმდინარე წელს ასზე მეტი სტიპენდია [illegible] სახელმწიფო უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკუმში. ვინ უნდა გავგზავნოთ ჩვენ მუშფაკზე და [illegible]? ამ კითხვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რაზედაც ჩვენ ვაქცევთ ადგილებზე მომუშავე ამხანაგების ყურადღებას. ეჭვს გარეშეა, რომ სტიპენდიის მიღებას ცდილობენ მენშევიკები, „ახალგ. მარქსისტები“ და სხვა არა საიმედო ელემენტები, რათა პროლეტარული სახელმწიფოს ხარჯზე ებრძოლონ ამავე სახელმწიფოს. ეს ტენდენცია თავიდანვე იქნა შეცნობილი. ჩვენ არ შეგვიძლია ერთ და იმავე დროს მომავალ სტუდენტობაზე ვიზრუნოთ და ასეთი მაგალითები დავუშვათ. მუშათა ფაკულტეტზე უნდა იქნან გამოგზავნილი მუშები და გლეხები, რომლებიც საბჭოთა წყობილების საფუძველს ამაგრებდენ და ამაგრებენ, ისეთნი, რომელნიც მომავალში დიდ იმედებს იძლევიან. ასე საიმედონი უნდა იყვნენ სახელმწ. უნივერსიტეტში გამოგზავნილი სტიპენდიანტები. მიმღებ კომისიამ ყოველივე ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და ისე იმოქმედოს.

დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისა ძირიანათ შეცვლილ უნდა იქნას. იქ თავმოყრილი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა არ გამოდის მშრომელი კლასებიდან და ამიტომ გასაგებია, რომ ისინი ყოველთვის დაინტერესებული იყვენ ძირი გამოეთხარათ მშრომელთა წყობილებისათვის. პროლეტარიატის დიქტატურის ხელი უფრო მძლავრი უნდა იყოს ამ დარგში, ვინემ დღეს არის. მას არ შეუძლია, ერთი წუთითაც დაუშვას, რომ საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდეს ბურჟუაზიული სტუდენტობა და არა პროლეტარული.

ჩვენ უნდა გავგზავნოთ იქ მუშები ფაბრიკა-ქარხნებიდან და გლეხები სოფლებიდან. ყველა უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში უმაღლესი სასწავლებლები მშრომელთა ხელშია და უნდა იყოს. ჩვენ ვანხორციელებთ იმას, რასაც ისტორიაში ჯერ ადგილი არ ჰქონია, ჩვენ ვქმნით ახალ წყობილებას და ცხოვრებას. შრომა, ამდენხანს დაბეჩავებული და დამონავებული კაპიტალისაგან, დღეს წელში გასწორდა და მოითხოვს იმას, რისი ღირსიც არის; შრომა, ამდენ ხანს მოწყვეტილი მეცნიერებას, დღეს უკავშირდება, უძმობილდება მას. ჩვენ არა გვაქვს საბუთი, რომ გაათასკეცებული ენერგიით ხელი არ შევუწყოთ ამ პროცესს ფრთხილი და ნელი მოქმედებით. ჩვენ წავალთ ერთხელ აღებული გზით და მივაღწევთ კიდეც ჩვენს მიზანს: სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ახლო ხანში მშრომელთა უნივერსიტეტი იქნება!

ქ. ორაგველიძე.

ადგილობრივი ფინანსები

VI

ადგილობრივი ორგანოს სასარგებლოთ გადასახადებში ყველაზედ რთული არის შენობებზედ გადასახადი. კანონით ამ გადასახადის საფუძვლად შეიძლება აღებულ იქნას ან შემოსავალი და ან შენობის მატერიალური ღირებულება. რომელი საფუძველიც არ უნდა იქნას აღებული, თვითეული მათგანი შენობის შესწავლას ითხოვს, მისი შემოსავლის ან ღირებულების წინასწარ გამორკვევას. რადგან შენობა იბეგრება გადასახადით ერთ-ერთ აქ აღნიშნულ საფუძვლით, ამიტომ გადასახადის სამართლიანი და თანაბრად განაწილებისათვის საჭიროა შენობის ყოველმხრივ შესწავლა, დაბეგვრის საფუძვლების გათვალისწინება.

ყველაზედ ძნელი ამ გადასახადის გატარებაში სწორეთ ამ საფუძვლის გათვალისწინება არის, შენობის ინდივიდუალურ თვისებათა შესწავლა. თუ ქალაქი მდიდარია შენობებით, მათ შესწავლას დიდი დრო და ხარჯები უნდა. მაგალითად ქ. ტფილისში სახლების საერთო შეფასება (კადასტრი) დაიწყო 1910 წელს და დამთავრდა მხოლოდ 1912 წელს ამგვარად ორი წლიწადი მოუნდა ტფილისი შენობების შეფასებას და დიდი ხარჯების გაწევა დასჭირდა მას ამ ფრიად სერიოზულ საქმეზედ.

რადგან შენობების შესწავლა დიდს დროსა და ხარჯებს ითხოვს, ჩვენ აღმასკომებს კი ამისათვის საჭირო თანხები არა აქვთ, ამიტომ დღემდის თითქმის არც ერთს ქალაქში შენობების შეფასება არ მოხდარა.

ამ გარემოებას ანგარიში გაუწია კანონმდებელმაც და ადგილობრივ აღმასკომებს ნება დართო შეფასება უკანასკნელი კადასტრით გაადიდოს 100.000-ჯერ იმ ქალაქებში, სადაც საერთო შეფასება შენობებისა მოხდა 1917 წლამდის და 10 ათასჯერ იმ ქალაქებში, სადაც შეფასება მოხდა აღნიშნული წლის შემდეგ. შეფასების ვადის მიხედვით შენობების ორ ჯგუფად დაყოფის დროს კანონმდებელს მხედველობაში მიღებული ჰქონდა ფულის კურსის ცვალებადობა და მისი დაცემა 1917 წლიდან. ამ ფულის კურსის დაცემამ, ე. ი. სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა კურსით შეფასებამ გამოიწვია ის არანორმალური გარემოება, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ წინა წერილში. სამტრედია 1922 წელში შენობებზე გადასახადს იხდიდა 900 მილიონ მანეთს, ქუთაისი კი 600 მილ. მანეთს ანუ 50 პრ. ნაკლებს.

მაგრამ ამ ზომას, ე. ი. მექანიკურად შეფასების გადიდებას დროებითი მნიშვნელობა აქვს, იგი შეიძლება არსებობდეს ახალ შეფასების მოხდენამდის; ეს შეფასება კი, იმავე კანონით, უნდა მოხდეს ხუთ წელიწადში ერთხელ.

მაშასადამე, კანონმდებელმა იცოდა მექანიკურ გადიდების უვარგისობა და ამიტომ დააკანონა შეფასება ხუთ წელიწადში ერთხელ.

ადგილობრივმა ორგანოებმაც კარგად იციან შეფასების სიძნელე და სირთულე და ამიტომ ერიდებიან მას. მეორე მხრივ ადგილობრივი ორგანო ფინანსიურ ხელმოკლეობას განიცდის და იძულებულია შემოსავლის ეს თვალსაჩინო წყაროც გამოიყენოს და, თუ რაიმე გზით შესაძლებელია ბინებზე გადასახადისათვის რომელიმე საფუძვლის გამოძებნა, თუნდაც ის დამაკმაყოფილებელი არ იყოს, მაინც ემყარებიან მას და გადასახადს აწესებენ.

ამიტომ ნატურალურ შეფასების მაგივრად ბევრ ქალაქში შემოღებულია მისი სუროგატი და ხშირად სრულიად უსამართლო. ამასვე ვხედავთ რუსეთის პრაქტიკაში. სამხრეთ-რუსეთის ფინანსიურ მოღვაწეთა კონფერენციაზე, მიმდინარე წლის 16—18 ივნისს, ხაზგასმით იყო აღნიშნული ზემოთ ნაჩვენები გარემოება. საქართველოს ზოგიერთ ქალაქში მოხდა შეფასება შენობებისა 1922 ან 1923 წელს და დღეს არსებული ამ ქალაქებში გადასახადი ახალ შეფასებას ემყარება.

ზოგიერთ ქალაქში უკანასკნელი საერთო შეფასება გადიდებულია მექანიკურად ისე, როგორც ეს ნაჩვენებია აღნიშნულ გადასახადის წესებში.

ზოგან კი ეს გადასახადი დღესაც არ არის შემოღებული, რადგან მისი შემოღების საფუძვლის გამოძებნა ძნელია. ამ მდგომარეობაში იმყოფება ქ. ტფილისიც, რომელსაც დღემდის ეს გადასახადი ცხოვრებაში ვერ გაუტარებია. ქ. ტფილისმა განიზრახა შენობებზე გადასახადის საფუძვლად აიღოს სახელმწიფო დაზღვევის შეფასება და იმის მიხედვით დააწესოს გადასახადის განაკვეთები.

რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში კი გადასახადის საფუძვლად აღებულია ძველი შეფასება და ამ შეფასებიდან გამოკლებულია 40, ან 50 პროც., როგორც მიწის ღირებულება, რადგან მიწაზე კერძო საკუთრება მოსპობილია.

ამ გვარად ბინებზედ გადასახადის საფუძვლის გამორკვევაში სრულიად სხვადასხვანაირი პრაქტიკა არსებობს.

ჩვენ არ შევეხებით იმ ქალაქების შეფასებას, სადაც ეს მოხდა 1922 ან 1923 წელს.

ყველა სხვა საფუძველი კი, გადასახადის სამართლიანობის და თანაბრობის თვალსაზრისით, მიუღებელია.

მექანიკურად გადიდებული უკანასკნელი შეფასება იმეორებს ყველა იმ შეცდომებს და უსამართლობათ, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ შეფასების დროს. გარდა ამისა ბევრ ქალაქში მოხდენილია სავაჭრო-სამრეწველო ბინების მუნიციპალიზაცია და შენობის ამ ნაწილიდან შემოსავალს იღებს ადგილობრივი აღმასკომი და არა სახლის პატრონი. უკანასკნელ შეფასების დროს შენობის შემადგენლობაში შედიოდნენ ეს სავაჭრო-სამრეწველო ბინებიც და მათი შემოსავალი მესაკუთრის შემოსავალს შეადგენდა; დღეს კი ეს ასე აღარ არის. შენობა, რომელშიც მოთავსებულია სავაჭრო-სამრეწველო ბინაც, ეკუთვნის ორ პატრონს—აღნიშნული ბინები აღმასკომს, საცხოვრებელი ბინები კი ძველ მესაკუთრეს. მაშასადამე, შენობაზედ გადასახადიც განაწილებული უნდა იყოს ორ მესაკუთრეთა შორის. მექანიკურად გადიდებული შეფასება კი გულისხმობს მუნიციპალიზაციის მოხდენამდის არსებულ შენობის შემადგენლობას და გადასახადიც ედება ძველ სახლის პატრონს. კიდეც რომ მოვინდომოთ სავაჭრო-სამრეწველო ბინების შემოსავლის ან ღირებულების გამოკლება შენობის საერთო შემოსავლის ან ღირებულებიდან მექანიკურად, ეს შეუძლებელი იქნება მაშასადამე, საჭირო იქნება ისევ თვითეული შენობის შესწავლა, რაიც ახალი შეფასების მოხდენას უდრის!

მექანიკურად გადიდებული შეფასება მიუღებელი სხვა მოსაზრებითაც. ქალაქში ყველა სახლში არ არის სავაჭრო-სამრეწველო ბინები, ზოგი სახლი აშენებულია მარტო საცხოვრებელ ბინათ. თუ გადასახადი მექანიკურად იქნება გადიდებული, მაშასადამეს, იმ სახლს, რომლის პატრონი ისევ მხოლოდ ძველი სახლის პატრონია და რომელშიც სავაჭრო-სამრეწველო ბინები არ არიან, გადახდება სამართლიანად, რადგან ამგვარ ბინის შემადგენლობაში და პატრონში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მეორე სახლი კი, რომელშიც სავაჭრო-სამრეწველო ბინებია, გადიხდის წინათ არსებულ გადასახადს მექანიკურად გადიდებულს, თუმცა მის შემადგენლობაში და პატრონში დიდი ცვლილება მოხდა.

ამგვარად, შეფასების მექანიკურად გადიდება უსამართლოდ დაბეგვრის წყაროდ ხდება.

მაშასადამე შეფასების მოხდენა საჭიროა და ეს უნდა იყოს მახლობელი მიზანი ადგილობრივ აღმასკომებისა.

შეფასების მოხდენა, ჩვენის შეხედულებით, დღევანდელს პირობებში შეიძლება მოხდეს შემდეგი წესით:

ადგილობრივმა აღმასკომმა უნდა დაამზადოს ბლანკები, საანკეტო ფურცლები იმ კითხვებით, რომელზედაც პასუხი საჭიროა შენობის შემოსავლის ან და ღირებულების გამოსარკვევად. ეს საანკეტო ფურცლები, განსაზღვრულ ვადაში, სახლის პატრონებმა ან მათ მაგიერ პირებმა უნდა შეავსონ და წარუდგინონ აღმასკომს, რომელიც ამ გზით მიღებულ ცნობებს შეამოწმებს თავის წიგნებთან ან მის განკარგულებაში მყოფ სხვა მასალასთან შედარებით, შეიტანს შესწორებას და გამოუცხადებს სახლის პატრონს. ამ უკანასკნელს უფლება უნდა მიეცეს შესწორება გაასაჩივროს საბჭოს მიერ არჩეულს ამისათვის საგანგებო კომისიაში. კომისიის დადგენილება საბოლოო იქნება. ამ გვარად შეკრებილი ცნობები გადატანილი უნდა იქნას შეფასებით ფურცლებში და შემდეგ წიგნებში. სადაც აღნიშნული იქნება გადასახადის განაკვეთიც.

ეჭვს გარეშეა, რომ შეფასება შენობებისა უნდა მოხდეს მაგარ ვალიუტის და თვით განაკვეთიც განსაზღვრული უნდა იყოს მაგარსავე ვალიუტით. ასეთი ვალიუტა არის ჩერვონცები და, მაშასადამე, ამ ვალიუტით უნდა აღინიშნოს შეფასება და გადასახადიც. მერყევ ვალიუტით შეფასების მოხდენა გამოიწვევს ისეთსავე მდგომარეობას, როგორიც არის დღეს და ამიტომაც მიუღებელია.

ს.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

საკავშირო-სასოფლო სამეურნეო გამოფენა.

გამოფენის დღეთ დანიშნული იყო 15 აგვისტო, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მისი გახსნა მოხდა ოთხი დღის დაგვიანებით, 19 აგვისტოს. ამ დღეს გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებიც. გამოფენა გაიხსნა მხოლოდ ნაწილობრივად, ვინაიდან მთლიანად მისი დამთავრება გახსნის დღისათვის ვერ მოესწრო. 26 აგვისტოს გაიხსნა გამოფენის დანარჩენი ნაწილებიც—უცხო სახელმწიფოთა ნაწილი და შუა აზიის ნაწილი. თუმცა გამოფენის ყველა ნაწილები გახსნილად ითვლებიან, მაგრამ მრავალ ნაწილებში ჯერ მუშაობა არ დამთავრებულა. თანდათანობით მოდის ექსპონატები. უცხო სახელმწიფოთა ნაწილი დღითი-დღე იზრდება ექსპონატებით. მოელიან საფრანგეთის 43 ფირმის ექსპონატებს და იაპონიის 100 ფირმისას, დაახლოვებით ერთი კვირის განმავლობაში გამოფენის ყველა ნაწილები სრულიად მზად იქნება.

გამოფენის მთელი ტერიტორია განიყოფება ორ ნაწილად. დიდ ნაწილში მოთავსებული არის საბჭოთა საკავშირო გამოფენა, მეორე მცირე ნაწილში უცხო სახელმწიფოთა გამოფენა. ამ ორ ნაწილს ჰყოფს ქუჩა „Крымский Вал“, რომელზედაც გაკეთებულია გამოფენისათვის გადასაკიდი ხიდი. ეს ხიდი აერთებს გამოფენის ორ ნაწილს.

უცხო სახელმწიფოთა ნაწილი

უცხო სახელმწიფოთა ნაწილს უკავია ტერიტორია 3.000 კვადრატიული მეტრის სივრცით. გახსნის დროს ნაწილში მოთავსებული იყო 400 ფირმის ექსპონატები. იქ წარმოდგენილი არიან დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფონი, გარდა შვეიცარიის და ბულგარეთისა. ამ უკანასკნელმა თუმცა სურვილი განაცხადა გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ, მაგრამ გამოფენის კომიტეტმა უარი უპასუხა და გამოფენაზე არ დაუშვა.

უცხო სახლმწიფოთა ნაწილი შესდგება რამდენიმე პავილიონისაგან. უმთავრეს პავილიონში მოთავსებულია სხვა და სხვა სახელმწიფოების ფირმების ექსპონატები. გარდა ამისა არის ცალკე ნაციონალური პავილიონები: ა) ტალინის „ჩაჩე“; ბ) ჩეხო-სლოვაკიის — „ჩეხომაშინე“ და ლატვიის—„ოზსტადე“. ზოგიერთ ფირმებს მოწყობილი აქვთ თავის პავილიონები, როგორც, მაგალითად, კრუპპი (გერმანია), რუსკავტორგი (ავსტრია) და სხვა.

ყველაზე უფრო დიდი ადგილი უჭირავს გერმანიის ექსპონატებს. წარმოდგენილია სასოფლო-მეურნეობის მანქანები, საქსოვი და სართავი მანქანები, პურის ხორბლის სხვადასხვა ხარისხი, მიწის გასანაყოფიერებელი მადნეულობა, ჰაეროპლანები, ავტომობილები, საკერი მანქანები, სამაგალითო ფერმები, შინაური წვრილფეხი და [illegible] საქონელი და სხვა.

ამერიკას უმთავრესად წარმოდგენილი აქვს ტრაქტორები, სათესი და სალეწავი მანქანები. აღსანიშნავია, რომ ერთი ამ ტრაქტორებიდან „ფორდზონ“ ტიპის ჩამოვიდა თავისით როსტოვიდან (სადაც ის წყლითვე მოტანილი) მოსკოვში რამოდენიმე დღის განმავლობაში. საათში აკეთებდა საშუალოდ 10 ვერსს, თანაც მოათრევდა ოთხთვლიან ბრიჩკას ორი მგზავრით და სხვადასხვა ნივთებით.

უცხო სახელმწიფოთა ნაწილში მოთავსებულია აგრეთვე ექსპონატები რუსეთის რევოლიუციის საერთაშორისო მუშათა დახმარების ორგანიზაციის. ამ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილია ქარხნები, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა რუსეთისათვის.

საკმაო ადგილი უჭირავთ აღმოსავლეთ სახელმწიფოთა ექსპონატებს. აქ წარმოდგენილია სპარსეთი, იაპონია, ჩინეთი და სხვა. იაპონიიდან მოელიან დამატებით ექსპონატებს.

უცხოეთის ნაწილში ყურადღებას იქცევს **ბეკკერის ფერმა** (ინგლისის, გერმანიის და არგენტინის შერეული ფირმა).

სხვათა შორის, აქ არის შინაური ოთხფეხა საქონელი, რომელთაც მნახველი განცვიფრებაში მოყავთ თავიანთ სიდიდით. მაგალითად, ერთი ცხვარი აღწევს წონით ათ ფუთს, ძროხა (სამი წლის) 38 ფუთს, ხარი (2 ნახ. წლის) 50 ფუთს, ღორები 10-15 ფუთს. გამოფენის გათავების შემდეგ ეს ფერმა გადავა საბჭოთა რუსეთის საკუთრებაში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ფერმა შენახული იქნება ძველებურათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეკკერის ფირმა მას უკანვე წაიღებს. უცხოეთის ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი დაკავებული აქვს სტადიონს, რომელიც იტევს 4 ათასამდე კაცს. 26 აგვისტოს, უცხოეთის ნაწილის გახსნის დღეს აქ გამართული იყო საზეიმო სხდომა.

საბჭოთა რუსეთის და მოკავშირე საბჭ. რესპუბლიკების გამოფენის ნაწილი.

უცხოეთს უკავია გამოფენის მხოლოდ ერთი მეხუთედი ნაწილი, დანარჩენი ოთხ-მეხუთედზე კი გაშლილია რუსეთის და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების გამოფენა. აქ მნახველს თვალში ეცემა შენობების სხვადასხვაობა და სტილი. თვითეული შენობა თავისათ წარმოადგენს ექსპონატს, რამდენათ ის დამახასიათებელია ამა თუ იმ კუთხის შენობის სტილისა. თითქმის ყველა შენობები აგებულია ხის მასალისაგან.

მათ მოწყობისათვის, მხედველობაში ჰქონიათ მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრება,—გამოხატვა იმის, რაც არსებობს და არა ისეთი შენობების შექმნა, რომელიც მნახველ ანცვიფრებს თავით სიუცხოვით და კონსტრუქციის ახალი ფორმებით. არაფერი ზედმეტი, არავითარი ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს. თვითეული კუთხის ექსპონატები მოთავსებულია ისეთ სტილის შენობაში, რომელიც ამ კუთხისათვის დამახასიათებელი არის.

გამოფენის ნაწილი დაფარულია შენობებით და საჩვენებელი დათესილი მინდვრებით (პური, ტყე, ბოსტნეულობა და სხვა).

მარჯვნივ შესავლიდან გაშლილია **სოფლის განყოფილება**, რომელიც შეიცავს სამ ნაწილს: 1) ახლანდელი სოფელი; 2) ახალი სოფელი (მომავალი) და 3) სოფლის საზოგადოებრივი შენობები. ამ განყოფილებაში არის რუსეთის თითქმის ყველა კუთხის სოფლის სახლები, თავისი მეურნეობით, ბოსტნით. ყოფაცხოვრების დასახასიათებლად იქ ჩასახლებულია სოფლელი ოჯახები. მნახველი ამ განყოფილებაში დაინახავს, თუ რა განსხვავება არის რუსეთის სხვადასხვა კუთხეებს შორის და როგორ ცხოვრობდენ უწინ და ეხლაც ცხოვრებენ ზოგიერთ სოფლებში. სანიმუშოთ უნდა ნახოთ ვოლოგდის გუბერნიის საცხოვრებელი ქოხი „курная изба“. მართლაც, რომ საქათმეს ჰგავს და არა საცხოვრებელ სახლს. იმის გვერდში კი უკრაინელი „ხატა“—ორ ოთახიანი, უფრო ნათელი. კიდევ იქით ყუბანელი გლეხის სახლი, ნათელი და კოხტათ მოწყობილი.

ამავე განყოფილებაში ახლანდელ სოფლის შენობების გვერდით მოწყობილია „ახალი სოფლის“ შენობები, ეზოებით და დამხმარე შენობებით. აქ დაინახავთ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ახალი სოფელი ძველთან შედარებით. ნათელი, ფართო, ყოველმხრივ მოწყობილი სახლი რამოდენიმე ოთახით; საზამთრო და საზაფხულო თვლებით; სურსათი და საკვები მასალის შესანახი შენობებით და სხვა. გლეხები-ექსკურსანტები დაწვრილებით ეცნობიან ამ შენობებს, კითხულობენ, თუ რამდენი დაუჯდებათ აგება და სხვა.

ახალი სოფლის ნაწილში შედის სოფლის საზოგადოებრივი სახლი. ეს სახლი იქნება თემის ცენტრი როგორც ადმინისტრატიული, ისე კულტურული, იურიდიული, აგრონომიული და კოოპერაციისათვის. იქ მოთავსებული იქნება სათემო აღმასკომი, სამკითხველო, თეატრი, წითელი ტრაქტირი (საჩაიე) და სხვა.

სოფლის განყოფილების ნაწილში მოთავსებულია „ლენინის კუნძული“. აქ მნახველი დაინახავს ლენინის მთელ ცხოვრებას;—სურათებში, დოკუმენტებში. აქ თავი მოყრილი აქვს ყველაფერ იმას, რაც ახასიათებს ლენინის მთელ ცხოვრებას და მოღვაწეობას, და მასთან ერთად რუსეთის მუშათა მოძრაობას, ნახავთ სურათებს ლენინის ცხოვრებიდან, როგორც, მაგალითად,—ლენინი იმალება კერენსკის მთავრობას პეტროგრადის ახლო მიდამოში,—პოლიციის მთელ საქმეს შემდეგი წარწერით:

„Дело...о бывшем студенте Казанскаго Университета ныне помощнике присяжнаго повереннаго В. И. Ульянове от 27 марта 1900г.“

ცალკე გამოყოფილია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკათა პავილიონები. უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი, საქართველო, ყირგიზელები და თათრების რესპუბლიკა, ნემცების კომუნნა, ბაშკირეთი. ყველაზე საინტერესო მათ შორის არის თურქესტანის პავილიონი, როგორც გარეგნული მოწყობილობით, ისე ექსპონატების სხვადასხვაობით და სიმრავლით.

თურქესტანის პავილიონის გვერდში მოწყობილია სარწყავი არხების მოდელი.

ყირგიზელების ნაწილში მოწყობილია საცხოვრებელი იურტები, სადაც მოთავსებული არიან მთელი ოჯახობით მათი პატრონები.

შესავლიდან მარჯვნივ პირველი შენობა უჭირავს წვრილ, შინა-წარმოების გამოფენას. აქ მოთავსებულია აურაცხელი ექსპონატების რიცხვი. არაფერი არ აკლია, დაწყებული გლეხის ხელით ნაკეთებ ხის ჭურჭლეულობიდან, გათავებული ძვირფას, ხელოვნურათ ნაქსოვებსა და ძვირფას, მხატვრულად გაკეთებულ სხვა და სხვა ნივთებამდე.

გამოფენის დანარჩენ ნაწილში მოთავსებულია სატყეო, მიწის დამუშავების, საბოსტნო და საბაღოსნო, სანადირო, [illegible], საკოოპერაციო, შრომის, მანქანების და სხვა განყოფილებანი. დაწვრილებით თვითეულ მათგანზე შევჩერდებით შემდეგ წერილებში.

გამოფენის გახსნის დღეს, 19 აგვ. გამოფენის ტერიტორიაზე გაიარა 17 ათასმა კაცმა. 26 აგვისტოს (კვირა დღეს) 80 ათასმა, უმთავრესად მოსკოვის მცხოვრებლებმა. გამოფენის ახლო მახლო მიდამოებს და ქუჩებს სადღესასწაულო ელფერი ადევს. ქუჩები სავსეა აურაცხელი ხალხით.

ს. გ.

მოსკოვი, 29 აგვისტო.

„კატასტროფა იაპონიაში“

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი. 5 სექტემბერი. „იზვესტია“-ს მოწინავე წერილში—„კატასტროფა იაპონიაში“ — ვილენსკი სწერს:

„საკმაო დარჩა ექვსი წუთი იმისათვის, რომ საშინელ კატასტროფას შეეწირა არა მარტო მილიონობით კაცთა სიცოცხლე, არამედ იაპონიის ხალხის ნახევარი საუკუნის მუშაობის ნაყოფი. მიწის ძვრა მოხდა იაპონიის ცენტრალურ კუნძულზე, რომელზედაც მდებარეობენ იაპონიის ყველაზე უფრო მჭიდროთ დასახლებული ადგილები. ტოკიო, იოკოგამა, ნაგოია უმეტესად დასახლებული იყო საფაბრიკო მცხოვრებლებით; აქ იყრიდა თავს მსხვილი მრეწველობა.

იაპონიამ, რომელიც ოცნებობდა აზიის დაპყრობაზე, მრავალი წლობით უნდა იზრუნოს კატასტროფის გამო გამოწვეული უბედურობის შემსუბუქებაზე. იაპონიის მილიტარიზმს ლახვარი დაეცა იმ მხრიდან, საიდანაც მას ყველაზე უფრო ნაკლებად ელოდა. ბირჟამ უკვე აღნიშნა იაპონიის კატასტროფა იაპონიის ვალიუტის დაცემით.

იაპონიის პრემიერმა ადმირალმა იამონტომ მედიდურად განაცხადა: „იაპონია არ უნდა ჩამორჩეს სხვა სახელმწიფოებს შეიარაღებულ ძალებში“. ეხლა ეს მედიდური განცხადება ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

აღარ არის სისხლისმღვრელი შეტაკების მუქარა აღმოსავლეთის ნახევარ სფეროზე იმ პრეტენდენტებს შორის, რომლებიც იბრძვიან ჰეგემონიისათვის წყნარ ოკეანეზე. იაპონიის კატასტროფა ახალ საერთაშორისო პირობებს ჰქმნის აღმოსავლეთ აზიაში. ჩინეთში და ჩრდილოეთ მანჯურიაში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილება იქ მებრძოლ ძალთა შეფარდებაში. იაპონიის დასუსტებას პირველ ყოვლისა გამოიყენებენ კაპიტალისტური სახელმწიფოები.

ბირჟამ უკვე დაიწყო მუშაობა იაპონიის ხალხის უბედურების ექსპლოატაციისათვის, იაპონიის მრეწველობისათვის ლახვარის ჩაცემა, ამავე დროს ლახვარის ჩაცემა იაპონიის მუშათა კლასისათვის. იაპონიის სამრეწველო ცენტრების დაღუპვა დაღუპვაა იაპონიის მილიონიან მუშების. ისინი უნდა მოიგონოს საბჭოთა რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა, ძმური დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს მათ მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის გულისათვის.

პირველი მოწოდება დახმარებისათვის გამოუშვა ვლადივოსტოკის პროლეტარიატმა, რომელმაც თვით განიცადა იაპონიის 5 წლის იმპერიალისტური ოკუპაცია. ხალხთა ცხოვრების ტრაგიკული მომენტები იწვევენ საზოგადოებრივ კლასებში სხვადასხვაგვარ გამოხმაურებას. ბურჟუაზია გამოეხმაურა იაპონიის კატასტროფას სპეკულიაციით მსოფლიო ბირჟაზე, ხოლო საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასი—მოწოდებით საერთაშორისო სოლიდარობისა და იაპონიის ხალხისთვის დახმარებისაკენ“.

„ჩვენი პური“

„პრავდა“-ს წერილი.

მოსკოვი. 5 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა“-ში მეთაურ წერილში „ჩვენი პური“ ამხ. სერებრიაკოვი სწერს:

„ბურჟუაზიულ ქვეყანასთან ბრძოლის ფრონტზე ჩვენ ვმოქმედობთ პურით. თეთრგვარდიელები, გრძნობენ რა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის მნიშვნელობას, ათასგვარ სიცრუეს ავრცელებენ ჩვენი მოსავლის შესახებ. მოსავლის ხარისხი მართლაც დაეცა, მაგრამ სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის მდგომარეობა იმდენათ დამაკმაყოფილებელია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა იმდენათ პურის მიღება კი არ არის, რამდენათ შენარჩუნება მისი ტრანსპორტიროვკისა და შინაურ და გარეშე ბაზრებზე რეალიზაციისათვის.

ნათესების სივრცე წელს მეტია შარშანდელთან შედარებით 18 პროცენტით, ჩვენ მივიღებთ დაახლოვებით 3 მილიარდ ფუთამდი პურს—ომამდი არსებულ დროის 3/4 მეტს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეალიზაცია მოგვცემს 280 მილ. ფუთს; ბაზარზე ხმარებაში იქნება 500 მილ. ფუთი პური. ქალაქებს, სამრეწველო რაიონებს და იმ სოფლებს, სადაც ნაკლებია პური, დასჭირდებათ 400 მილ. ფუთი—აქედან აშკარაა, რომ საზღვარგარეთ გასატანიც ბევრი დარჩება.

ჩვენი ფქვილიდან გამომცხვარი პური გააბათილებს ემიგრანტ თეთრგვარდიელების სიცრუეს. პურის ექსპორტი არის ახალგაზრდა, მაგრამ მტკიცე და პატიოსან საბჭოთა ხელში. ეხლა ჩვენ შეუდექით მორიგ ამოცანების შესრულებას: 1) ბრძოლა პურის დამამზადებელ ფასების გაიაფებისათვის, ხარჯების შემცირებისა და სახელმწიფო კოოპერატიულ აპარატების კონკურენციის გაუქმების საშუალებით, 2) ბრძოლა სუფთა ხორბალისათვის, 3) წისქვილების მუშაობის გაძლიერებისათვის და 4) ფქვილის და გამომცხვარ პურის კოოპერატიულ გაყიდვის ბაზის გაფართოვებისათვის. ამ ამოცანების შესრულებისათვის ჩვენ საკმაო ძალები მოგვეპოვება“.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საშინელი მიწის ძვრა იაპონიაში

ბერლინი. 5 სექტემბერი. მიწის ძვრა იაპონიაში გაცილებით უფრო საშინელი აღმოჩნდა, ვინემ ეს ეგონათ პირველი ცნობების მიხედვით. **ვულკანების მთელი რიგი ამოძრავდა, ორშაბათს დილით განმეორდა მიწის რყევა. 11 ქალაქი სავსებით ან ნაწილობრივ განადგურებულია.** ოსაკიდან და კობედან ჩრდილოეთით სამი მილის მანძილზე მთელი მხარე განადგურებულია. **კუნძული ეგოპიმა დაფარულია წყლით. ტოკიო დღემდე იწვის** 15 კვარტალიდან განადგურებულია 7. ის, რაც გადაურჩა მიწის ძვრას და ცეცხლს, გაანადგურა ქარბუქმა. კვარტალი, რომელშიაც მოთავსებული იყვნენ უცხოეთის საელჩოები, დანგრეულია. უცხოეთის მისიების ბედის შესახებ არაფერი არ იციან. კობედან მიღებული ცნობებით, გერმანიის საელჩო იოკაგამაში, რომელსაც მოეპოებოდა დიდი პირადი შემადგენლობა, დანგრეულია; გერმანიის საელჩოს ბედის შესახებ ტოკიოში ჯერ არაფერი ცნობა არ არის.

გეოგრაფიული ცვლილება.

ლონდონი. 5 სექ. სანაპირო მიდამოებში მოხდა დიდი ცვლილებები. ტოკიოს ყურე გაქრა. გამოჩნდა ორი ახალი დიდი კუნძული. იოკაგამის მახლობლად ზღვამ დაფარა 2 კუნძული მცხოვრებლებით.

მსხვერპლი.

ლონდონი. 5 სექ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, დაიღუპენ ასობით ინგლისელები და ამერიკელები, მათ შორის ელჩებიც იაპონიის პრემიერი დაჭრილია.

დაღუპულთა შორის არიან: 4 პრინცესა, მრავალი ცნობილი პირები. დაიღუპენ მრავალი პოლიტიკური მოღვაწეები, მათ შორის პრინცი მატცუმეტე, რომელიც მოკვდა ჭრილობიდან და ბარონი ტაკაშიხა. ვიკონტი ტიკაგუზი და მთავრობის პარტიის 20 უფრო გავლენიანი წევრი დაიღუპენ თათბირის დროს. იაპონიის გემის კაპიტანი, რომელიც ჩამოვიდა იოკაგამიდან ჩინეთში, გადმოგვცემს ათასობით ლტოლვილთა შესახებ, რომლებიც გამორბიან თავის გადარჩენის მიზნით. ტოკიოში დაიწვა ციხის შენობები: პატიმრები გაიქცენ. საზღვაო სამინისტროს ცნობით, მოკლულთა რიცხვი მარტო ტოკიოში უდრის 140,000 კაცს.

დახმარება დაზარალებულებს.

ლონდონი. 5 სექტ. მიკადომ დაზარალებულებს შესწირა 1 მილიონი იენი, პრინც რეგენტმა—10 მილ. გ. სტერლინგი, ამერიკის წითელმა ჯვარმა 1 მილ. გირ. სტერლინგი, ჩინეთის მთავრობამ—200,000 ტაელი.

ლორდ კერზონმა ინგლისის მთავრობის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა იაპონიის ელჩს და განუცხადა, რომ ინგლისი ყოველივე ზომებს მიიღებს, შეძლებისდაგვარად, კატასტროფის შედეგების შესამსუბუქებლად. ბრიტანეთის საზღვაო ოფიცრებს, რომლებიც მსახურობენ ჩინეთის წყლებში, ნება მიეცათ გაემგზავრონ იაპონიაში დაზარალებულთა დასახმარებლად.

პარიზი. 5 სექტემბერი. საფრანგეთის კრეისერმა „ჟლ მარი“-მ მიიღო ბრძანება გაემგზავროს შანხაიდან იოკაგამაში დახმარების აღმოსაჩენად.

რომი. 5 სექტემბერი. იტალიის მთავრობამ თანაგრძნობა გამოუცხადა იაპონიის ელჩს რომში. კრეისერმა „კალაბრია“-მ მიიღო ბრძანება გაემგზავროს კატასტროფის ადგილზე.

ბერლინი. 5 სექტემბერი. მიკადოს სასახლეში, რომელიც წმინდათ ითვლებოდა და მიუწდომელი იყო „უბრალო მომაკვდავთათვის“, ეწყობა საავადმყოფო პრინც რეგენტის მიერ.

იოკაგამიდან გარბიან დარჩენილი მცხოვრებლები.

ლონდონი. 5 სექტემბერი. იოკაგამაში ყველა მცხოვრებლებიდან გადარჩა 40,000 კაცი, რომელთა უმეტესობა გამორბის გემებით, რომელიც გაიგზავნა ჩინეთიდან დასახმარებლად.

აჯანყება ლტოლვილებს შორის.

ლონდონი. 5 სექტემბერი. ტოკიოდან ლონდონში უშუალოდ მიღებული ცნობებით, ტოკიოში **და იოკაგამაში მოხდა აჯანყება ლტოლვილებს შორის, რომელთაც არ აქვთ სანოვაგე.** შემდეგი ცნობის მიხედვით, აჯანყებულებს და ძარცვაგლეჯას ებრძვიან ძალით.

სატახტო ქალაქის გამოცვლა.

ბერლინი. 5 სექტემბერი. იაპონიის დროებით სატახტო ქალაქად გამოცხადებულია ძველი სატახტო ქალაქი კიოტო.

ცეცხლში დაღუპულები.

ბერლინი. 5 სექტემბერი. ტოკიოში დაიწვა 10,000 კაცი, რომელთაც ვერ შესძლეს გამოსვლა ცეცხლ მოკიდებულ სახლებიდან.

ტოკიოში.

ბერლინი. 5 სექტემბერი. ტოკიოში სავსებით დანგრეულია საფრანგეთის და იტალიის საელჩოები, ნაციონალური ბანკი, საიმპერატორო მუზეუმი, უნივერსიტეტი, სამხედრო სამინისტროს ნაწილი, თითქმის ყველა სადგურები, ყველა ხიდები და 212,000-დე კერძო სახლები. იმპერატორის სასახლე დაზარალდა მხოლოდ ნაწილობრივ.

ინგლისის მეფის სამძიმარი.

ლიფილდი. 3 სექტემბერი. ინგლისის მეფემ გაგზავნა მიკადოში დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს თანაგრძნობას იაპონიაში მომხდარ უბედურების გამო.

ბრძანება სამხედრო გემებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ლონდონი. 3 სექტემბერი. იაპონიის სამხედრო მინისტრმა დაუგზავნა ყველა სამხედრო გემებს ბრძანება ყველა დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

საზანადან ტოკიოში გაიგზავნა გემი სურსათით და წყლით.

წითელი ჯვრის დახმარება.

ნიუ-იორკი. 3 სექტ. წითელ ჯვრის ამერიკის განყოფილებამ ჩინეთში და ფილიპინში მიიღო ბრძანება დაზარალებულთათვის დასახმარებლად იაპონიაში დაუყოვნებლივ გამგზავრების შესახებ.

იოკაგამა განადგურებულია.

ლონდონი. 3 სექტემბერი. მიწის ძვრა იოკაგამაში 6 წუთი გაგრძელდა. ქალაქი სრულიად განადგურდა. ტოკიო ცეცხლშია გახვეული.

ცეცხლისაგან დაინგრა არსენალი და იმპერატორის სასახლე. მრავალი მატარებელი გადავარდენ რელსებიდან. **ფუძიამის მთის გარშემო მდებარე ქალაქები განადგურებულია.**

დაწვრილებითი ცნობები.

ლონდონი. 3 სექტემბერი. იაპონიიდან მიღებულია ცნობები საშინელ კატასტროფის შესახებ: განადგურებულია ტოკიოს დიდი ნაწილი: **წყალსადენის დანგრევის გამო ცეცხლთან ბრძოლა შეუძლებელია. ცეცხლი გაჩნდა ზღვის სანაპიროებზე და გაანადგურა მთელი ქალაქი. იოკაგამაში ზღვის შენობები და ჰოსპიტალები ცეცხლშია გახვეული.**

შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა უბრძანა ამერიკის ესკადრას გავიდეს იოკაგამაში, სადაც გაიგზავნა აგრეთვე ბრიტანეთის კრეისერი შანხაიდან.

საჭირო სასწრაფო დახმარება.

პეკინი. მიღებულ ცნობების თანახმად, ტოკიოში გაჩენილი ცეცხლი ნელდება, იოკაგამა და მოკოსუკა (იაპონიის მეორე სამხედრო-ნავთსადგური) დანგრეულია; დაიღუპენ კურორტები კამაკურა და ენელიმა იოკაგამაში გაგზავნილი აეროპლანები იტყობინებიან, რომ ქალაქის ყველა შენობები დანგრეულია. **დაზარალებულ ოლქებში სურსათის კრიზისი ძალიან გამწვავებულია.** ლაპარაკობენ ჩინეთიდან სურსათის მოწოდების და იაპონიის სამხედრო საწყობების ჩინეთიდან იაპონიაში გადატანის შესახებ, რადგან იაპონიის არსენალები და საზღაო ბაზები მთლად განადგურდა.

მიწის ძვრამ დიდი ზარალი მიაყენა იაპონიას.

პეკინი. 3 სექტემბერი. უთებს რა კომენტარიებს იაპონიაში მომხდარ კატასტროფას, პეკინის პრესა ფიქრობს, რომ იაპონიის სავაჭრო ძლიერებას აურაცხელი ზარალი მოუვიდა, რაც მრავალი წლის განმავლობაში ვერ იქნება ანაზღაურებული.

ერთა ლიგის სამძიმარი.

ლიფილდი. 3 სექტ. ერთა ლიგის ღია სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც თანაგრძნობას უთვლის იაპონიის დაზარალებულთ.

ინგლისში საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონიის კატასტროფამ.

ლიფილდი. 3 სექტ. იაპონიის კატასტროფის ამბავმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. გაზეთები სწერენ იაპონიისათვის ყოველმხრივი დახმარების უცილებლობის შესახებ. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ არ არის მიღებული ცნობა იაპონიაში მყოფ ინგლისის საელჩოს შესახებ.

მიტინგი იაპონიაში

საბჭოთა რუსეთი დაეხმარება იაპონიას.

მოსკოვი. 5 სექტემბერი. **დღეს მთავარ საგამოფენო კომიტეტის მორიგ მიტინგზე შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „სოფლისა და ქალაქი კავშირი“,—ექსკურსანტებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმული იყო მწუხარება იაპონიის მშრომელ მასსებზე დატრიალებულ უბედურების გამო. „ჩვენ გვწამს,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—რომ სტიქიის მიერ მოტანილ იარებს თქვენ მოგირჩენს რუსეთის მშრომელთა ამხანაგური დახმარება. ჩვენ დაგეხმარებით თქვენ გულწრფელათ და ამხანაგურად ისე, როგორც შეუძლია მხოლოთ საბჭოთა რუსეთს. სოფლათ და ქალაქათ დაბრუნებისას ჩვენ ყველგან დავძახებთ თქვენი დახმარებისათვის.**

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

იტალიაში

მუსოლინი დააფრთხო ინგლისის პოზიციამ

ვენა. 3 სექტემ. იტალიის ოფიციალური სააგენტო იტყობინება, რომ იტალია წინააღმდეგი არ იქნება იმის, თუ იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის საკითხი გადაეცემა განსახილველად, საერთაშორისო ტრიბუნალს. **ინგლისის მთავრობის განცხადების გამო რომ,—რომ ის დაინტერესებულია ამ კონფლიქტით, იტალია შეეცდება არ გაამწვავოს დამოკიდებულება ინგლისთან.** ამავე დროს დროებით გამაგრდება კორფუში. **იტალიის მთავრობის ცნობით, ოკუპაცია გაგრძელდება მანამდე, სანამ საბერძნეთი სავსებით არ დააკმაყოფილებს იტალიის ყველა მოთხოვნილებებს.**

იმედი აქვთ მშვიდობიანობის.

ვენა. 3 სექ. იტალიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იმედი აქვთ რომ იტალიის მთავრობა შეიცვლის პოლიტიკას მშვიდობიანობისაკენ. იტალიის ოფიციალური სააგენტო იტყობინება, რომ თუ ერთა ლიგამ არ სცნო იტალიის თვალსაზრისი, იტალია არ იქნება წინააღმდეგი, რომ საკითხი გადაეცეს საერთაშორისო ტრიბუნალს ჰააგაში. კონფლიქტის მშვიდობიანად დამთავრების იმედი დღითი დღე იზრდება, ინგლისის მთავრობის განცხადების გამო, რომ ინგლისი დაინტერესებულია კონფლიქტით, ვინაიდან მისი ინტერესები მოითხოვენ ხმელთაშუა ზღვაზე იტალიის ძლიერების შეზღუდვას. იტალია არ მოინდომებს ურთიერთობის გამწვავებას ინგლისთან.

საბერძნეთის ელჩი ვენაში უარყოფს საბერძნეთის მხრივ სამხედრო გამოსვლების შესაძლებლობას ძალთა უთანასწორობის გამო და იმედი აქვს ერთა ლიგის ჩარევას.

განდიდების მანიით შეპყრობილის ენა.

ლონდონი. 5 სექტემბერი. „დეილი მეილის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა: „თუ საბერძნეთი შეასრულებს ყველა ჩემ მოთხოვნილებებს, მე გავიყვან ჯარებს კორფუდან, მაგრამ უმჯობესია საბერძნეთისათვის მომავალ კვირამდე გადაიხადოს ანაზღაურება, რადგან შემდეგ ფასები კიდევ უფრო გაიზრდება. მე არა მაქვს განზრახვა დავიკავო საბერძნეთის ახალი ტერიტორია. მე მივმართავ სხვა რეპრესიებს მაშინ, თუ საბერძნეთი გაბედავს იტალიის მოქალაქეებსა და მათ ქონებაზე თავდასხმას“.

სავაჭრო გემების განთავისუფლება.

რომი. 5 სექტ. საზღვაო მინისტრმა განკარგულება გასცა, რათა გაანთავისუფლონ სავაჭრო გემები საბერძნეთის ზაირაღით.

საბერძნეთში

საბერძნეთის პროტესტი.

ბერლინი. 5 სექტემბერი. საბერძნეთის საელჩოებმა ბერლინში და სკანდინავიის ქვეყნებში ჩააბარეს ნეიტრალურ მთავრობებს პროტესტის ნოტა იტალიის მიერ დაკავებულ პოზიციის და მისი მოქმედების წინააღმდეგ. საელჩოები აუწყებენ მთავრობებს საბერძნეთის მიერ ერთა ლიგაში შეტანილ განცხადების შესახებ.

რომი. 5 სექტ. ათინაში და სალონიკში დიდი მღელვარებაა. სალონიკში გამოცხადებულია საალყო წესები.

საბერძნეთის გაზეთები ალბანელებზე უთითებენ.

ბერლინი. 5 სექტ. საბერძნეთის გაზეთების ცნობით მცხოვრებლებმა ნახეს ალბანელთა ბანდების მეთაური დაურონოდჯო, რომელიც მკვლელობის წინა დღეს ალბანიის პოლიციის უფროსთან ერთად ათვალიერებდა იმ ადგილს, სადაც მოხდენილი იყო მკვლელობა.

საბერძნეთი ძველ პოზიციაზე სდგას.

ვენა. 3 სექტ. იტალიის ადმირალმა ბელინიმ აღუკრძალა საბერძნეთის გემებს ოტრანტოს არხში შესვლა. საბერძნეთის 4 გემი დაკავებულია იტალიის ნავთსადგურში. საბერძნეთის მთავრობა კვლავ იძლევა წინადადებას კონფლიქტის ერთა ლიგის მიერ გარჩევის შესახებ და აცხადებს, რომ **წინააღმდეგ შემთხვევაში საბერძნეთი იძულებული იქნება შეიარაღებულ ძალით მოიგერიოს იტალიის თავდასხმა.**

ახალი კაბინეტის შედგენა.

ვენა. 3 სექტემბერი. იტყობინებიან, რომ საბერძნეთის კაბინეტის გადადგომის გამო, ყოფილ პრემიერს ზაიმის მიენდო ახალი კაბინეტის შედგენა, ყველა კონსტიტუციონური პარტიების გაერთიანების საფუძველზე.

საბერძნეთის წინადადება.

პარიზი. 5 სექტემბერი. პოლიტილომ ერთა ლიგას გადასცა საბერძნეთის ახალი წინადადება, სახელდობრ: დაწესდეს ნეიტრალური სააგენტო დამნაშავეთა გასამართლების და დანაშაულის გამოძიების სამეთვალყუროდ, 2) დაწესდეს კომისია 3 ნეიტრალურ იურისტისაგან სანაზღაურო თანხის გადასაწყვეტად, 3) „შვეიცარიის ბანკი (ბანკ დე სუის) მიჩნეულ იქმნას, როგორც ადგილი, სადაც საბერძნეთი შეიტანს სანაზღაურო თანხას.

კუნძულ კორფუზე

დემონსტრაცია ოკუპანტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 5 სექტ. ქალ. კორფუში გაიმართა მცხოვრებლების დემონსტრაცია ოკუპაციის წინააღმდეგ.

სტეფანის სააგენტოს აუწყებენ ათინიდან იტალიის წინააღმდეგ გამართულ დიდი დემონსტრაციის შესახებ, რომლის დროს დემონსტრანტებმა დასწვეს იტალიის დროშა და სინჯეს იტალიის საელჩოს დარბევა.

იტალიის ჯარების რაოდენობა კორფუზე.

ვენა. 3 სექტემბერი. საბერძნეთის გაზეთების ცნობით, კორფუში იმყოფება 20,000 იტალიელი, ჯავშნოსანი და 10 მსუბუქი გემი. სამხრეთ-სლავიამ გამოაცხადა მტკიცე ნეიტრალიტეტი.

ოკუპანტების რეპრესიები.

პარიზი. 5 სექტ. იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ კორფუზე მყოფი საბერძნეთის ჯარისკაცები და ჟანდარმები დატყვევებულია. ქალაქის თავი და უკანასკნელი ბერძენი მოხელეები პირეიში გადავიდნენ

ერთა ლიგის შუამავლობა

მუსოლინი იმუქრება.

ლონდონი. 5 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭომ იტალიის დელეგატის სალანდრის წინადადებით ხვალისათვის გადასდო იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის განხილვა. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად **მუსოლინი იმუქრება იტალიის გამოსვლის ერთა ლიგის შემადგენლობიდან, თუ ერთა ლიგის საბჭო ხვალიდან შეუდგა კონფლიქტის განხილვას.** ამ განცხადების გამო, ლონდონში აღნიშნავდენ, რომ ლიგის სტატუტის რედაქციის თანახმად, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ისე ადვილად გამოვიდენ ერთა ლიგის შემადგენლობიდან, როგორც ეს მუსოლინის წარმოუდგენია. სტატუტის 1 მუხლი ითვალისწინებს, რომ ლიგის წევრის გამოსვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ამის შესახებ 2 წლით ადრე განაცხადებს, და გარდა ამისა, თუ იგი შეასრულებს ყველა საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც სტატუტშია გათვალისწინებული.

ჟენევის არეოპაგი მტკიცეთ იცავს თავის სტატუტს.

ლონდონი. 5 სექტემბერი. ჟენევიდან მიღებული დეპეშები აღნიშნავენ, რომ ლიგაში წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ლიგის ავტორიტეტს. საფრანგეთს განზრახული აქვს იმოქმედოს სწორედ ამ მიმართულებით და არ დაარღვიოს არა თუ სტატუტი არამედ სენ-ჟერმენში და ნეილი დადებულ ხელშეკრულების ძირითადი დებულებები, რადგან ამით ბევრს წააგებდა ვერსალის ხელშეკრულება. ეს თვალსაზრისი გაიზიარეს მცირე ანტანტამ, სკანდინავიის სახელმწიფოებმა და ლათინ-ამერიკელების ბლოკმა. ლონდონში აღიარებენ, რომ ამ საკითხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა; დიდი სახელმწიფოს უარი, დაემორჩილოს ერთა ლიგის სტატუტს, ძალიან ცუდი მაგალითი იქნებოდა პატარა სახელმწიფოებისათვის, რომელნიც ლიგას მიმართავენ; გარდა ამისა სტატუტის დარღვევა შეარყევდა ამის შემდეგ დადებულ ყველა ხელშეკრულებებს.

მოკავშირეების პოზიცია

რომი. 5 სექტ. კერზონი ჩავიდა პარიზში და ესაუბრა პუანკარეს. გაზეთები ამ დარბაზობას საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტს აწერენ. ლონდონში დაბრუნების შემდეგ, კერზონმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა საშუალება განეხილა პუანკარესთან ერთად პოლიტიკური ამბები დროის და საჭირო დოკუმენტების უქონლობის გამო.

ბერლინი. 5 სექტემბერი. „ფოსიშე ცეიტუნგის“ ლონდონის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ პუანკარე და კერზონი შეთანხმდენ—საერთო ძალ-ღონით შეინარჩუნონ მშვიდობიანობა ბალკანეთში, ერთა ლიგის შუამავლობით და მცირე ანტანტასთან მეგობრული მოლაპარაკებით.

მცირე ანტანტა და კონფლიქტი

ბალკანეთის სახელმწიფოების პოზიცია.

ბერლინი. 3 სექტემბერი. გაზეთ „ნეიუფრეიე-პრესსე“-ს ლონდონის კორესპონდენტის ცნობით, იმ შემთხვევაში, თუ იტალია არ დაემორჩილება ერთა ლიგის დადგენილებას, უკანასკნელი მას ეკონომიურ ბლოკადას გამოუცხადებს. ინგლისი და საფრანგეთი თავს შეიკავებენ ჩარევისაგან მათ განზრახული აქვთ შეაჩერონ ჰუნგრეთი და ბალკანეთის სახელმწიფოები მოუფიქრებელ ნაბიჯებისგან. ხმებია, რომ სამხრეთ-სლავიამ განაცხადა, რომ იტალიელთა დესსანტის გადმოსხმა ალბანიაში მიჩნეული იქნება ომის გამოცხადებათ. კორფუს და მის ახლო მდებარე კუნძულთა ხანგრძლივი ოკუპაცია დაუშვებელია. ამბობენ, რომ მცირე ანტანტის წარმომადგენლებმა პარიზში და ლონდონში გაიზიარეს სამხრეთ-სლავიის თვალსაზრისი, რის გამო ჰუნგრეთმა განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავიის მიერ საბერძნეთის მხარის დაჭერა გამოიწვევს ჰუნგრეთის ხალხის გამოსვლას სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ.

„ერთი ნაპერწკალი—და ბალკანეთში აფეთქება მოხდება“.

პრაგა. 3 სექტ. პრაგის გაზეთები მეტად აღელვებულია კორფუს ოკუპაციით. გაზეთი „პრავო ლიდუ“ (ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო) ამბობს, **რომ საკმარისია ერთი ნაპერწკალი, რომ ბალკანეთში აფეთქება მოხდეს.** ნაციონალ-დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ იტალიის მუქარა საბერძნეთისადმი საშიშია დანარჩენ ბალკანეთის სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით, სამხრეთ-სლავიისთვის. „ნაროდნი ლისტი“ (მსხვილ ბურჟუაზიის წრეებში გავრცელებული ნაციონალ დემოკრატიული ორგანო) ამბობს, რომ **იტალიამ თავისი სამხედრო მისიის წევრთა მკვლელობით ისარგებლა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ხელსაყრელ პოზიციის დასაჭერათ.**

პრესა კონფლიქტის შესახებ

სკანდინავიის პრესის აზრი.

სტოკჰოლმი. 3 სექტემბერი. სკანდინავიის პრესსა სასტიკათ ჰკიცხავს კორფუს ოკუპაციას და ადარებს მას რურის ოკუპაციას. გაზეთები ხაზს უსვამენ ერთა ლიგის უძლურებას კონფლიქტის მოგვარებაში. „სოციალდემოკრატენ“-ი მუსოლინის საყოველთაო მტრის სახელს უწოდებს და ამტკიცებს, რომ იტალიის მიერ ნასროლი ბომბა განხეთქილებას გამოიწვევს ერთა ლიგაში.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ კორფუს ოკუპაციის შესახებ.

ნიუ-იორკი. 3 სექტემბერი. კორფუს ოკუპაციის გამო „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სწერს: „იტალიის მთავრობის მოქმედება დაუცველი კუნძულის მიმართ არის სამხედრო პატივმოყვარეობის და უკულტურობის აქტი.“

რ. ს. ფ. ს. რ. ცნობის გარშემო

რუსეთის ეკონომიური ცხოვრება აღორძინების გზაზეა დამდგარი“.

ვარშავა. 3 სექტემბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, მოსკოვიდან ჩამოსულმა საფრანგეთის სენატორმა დე-მონზიმ განაცხადა: **რუსეთის ეკონომიური ცხოვრება აღორძინების გზაზეა დამდგარი, რუსეთი ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება და მოსკოვთან შეიძლება მოლაპარაკების წარმოება** დემონზი სადარბაზოდ იყო რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ ამხ. ობოლენსკისთან.

საბჭოთა კავშირი და ლიტვა.

კოვნო. 3 სექტემბერი. ლიტვის მთავრობის უმაღლესმა წარმომადგენელმა მემელში პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მთავრობას სურს ეკონომიური დამოკიდებულება დაამყაროს მემელსა და რუსეთს შორის. ამ უკანასკნელს შეუძლია მემელი გამოიყენოს ტრანზიტისათვის.

გერმანიის ამბები

გერმანიაში რეაქცია ძლიერდება. დიდი კოალიცია შიგნიდან იშლება. ბურჟუაზიული მინისტრები აშკარათ ილაშქრებენ ჰილფერდინგის ფინანსიური ზომების წინააღმდეგ.

სტინესი და საფრანგეთის მრეწველები მოლაპარაკებას აწარმოებენ შეთანხმების შესახებ.

ექსპლოატატორები ერთმანეთს უთანხმდებიან.

ლონდონი. 3 [illegible]-ბით ლაპარაკობენ შეთანხმების შესახებ სტინესს და შნეიდერ-კრეზოს სამრეწველო ჯგუფს შორის კრუპსა და ლუშერს შორის გრძელდება მოლაპარაკება ესენის და რეინკაუზენის კრუპის ქარხნები და აგრეთვე ზაინის და ზიგის განაპირა მდებარე 37 მაღაროს შესახებ. ამ ქარხნების და მაღაროების ექსპლოატაციისათვის განზრახულია შერეულ საზოგადოების დაარსება, რომელშიაც აქციების 40 პროცენტს მიიღებს კრუპპი, 85—ინგლისელები და 25 ფრანგები.

კონფლიქტი საქსონიისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შორის.

ბერლინი. 3 სექტემბერი. საქსონიისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შორის, თავდაცვის მინისტრ ჰესლერის მოქმედებით გამოწვეული კონფლიქტი მწვავდება. საქსონიის მთავრობის თავმჯდომარის ცეიგნერის მოთხოვნილება, რათა გადაყენებულ იქმნეს ჰესლერი, რომელმაც მემარჯვენე რადიკალებთან და ფაშისტურ ორგანიზაციებთან თავისი ურთიერთობით სახელი გაიტეხა, სრულიად გერმანიის მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა. საქსონიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა და პარტიის საოლქო პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ცეიგნერის პოზიციას და მოითხოვს ჰესლერის გადაყენებას.

ორი გზა.

გერმანიის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მოწოდება.

ბერლინი. 3 სექ. გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა პარტიამ მოწოდებით მიჰმართა მუშებს, მოხელეებს და მოსამსახურეებს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ახალი კაბინეტი უძლურია მსხვილი ბურჟუაზიის საბოტაჟთან ბრძოლაში და აგრეთვე კოალიციური მთავრობა მზათაა აშკარა კავშირი დაიჭიროს ფაშისტებთან. გერმანიის წინაშე ორი გზაა—ფაშისტური დიქტატურა ან რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც მომხრეა საბჭოთა რუსეთთან კავშირისა.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

რას მიაღწია ოსმალეთმა ლოზანაში.

სტამბოლი. 4 სექტემბერი. „ჟურნალ დ-ორიან“-ის სიტყვებით, მუსტაფა ქემალმა თავის დიდ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში, შემდეგნაირათ დაახასიათა ოსმალეთის მიღწევები ლოზანაში, „ახალ ხელშეკრულებაში, რომელიც თქვენ უნდა განიხილოთ, სთქვა მან, აღარ არის მეტი დიდი სომხეთის ნაშთები. პონტოს მთავრობა და მისი თანამშრომლები ჩამოშორებული არიან. გავლენის ზონები გაქრენ სამუდამოთ და ოსმალეთმაც მიიღო ის უფლებები, რომლითაც სარგებლობენ ყველა განათლებული ხალხები. სმირნა და ადანია განთავისუფლებულია თავდასხმებისაგან და სტამბოლი—მონობისაგან. კაპიტულიაციის ჯაჭვები დაწყვეტილია სამუდამოთ“.

საკონტრიბუციო საკითხი

პრესა შტრეზემანის სიტყვის შესახებ.

საფრანგეთის პრესა.

ლონდონი. 4 სექტ. „დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ პარიზში სავსებით კმაყოფილი არიან შტრეზემანის მიერ შტუტგარტში წარმოთქმულ სიტყვით, რომელშიაც მან აღნიშნა საფრანგეთთან ეკონომიურ კავშირის დამყარების აუცილებლობა. ყველა წრეებში იმედი აქვთ, რომ გერმანია გააუქმებს ყველა იმ განკარგულებებს, რომელიც პასიურ წინააღმდეგობას ეხება და შემდეგ სთხოვს საფრანგეთს ფორმალურათ განიხილოს რეინლანდისა და რურის ახალი სტატუტი. როგორც იტყობინებიან, პუანკარე თანახმა იქნება ამ გეგმაზე, თუ ევაკუაცია დაიწყება მაშინ, როდესაც გადახდილი იქნება ყველა გადასახადები.

ბერლინი. 4 სექტ. პარიზის გაზეთების უმრავლესობა სცნობს შტრეზემანის სიტყვის შემარიგებელ ხასიათს, „პტი პარიზიენი“ ამბობს, რომ შტრეზემანის სიტყვით იწყება ახალი ხანა საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულებაში. „ფიგარო“-ს აზრით გადადგმულია ახალი ნაბიჯი საფრანგეთისა და გერმანიის თვალსაზრისის შესარიგებლათ; გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლება რჩება და რომ პასიური წინააღმდეგობა ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული.

პარიზი. 4 სექტ. „ჟურნალ დე დება“ შტრეზემანის სიტყვაში აღნიშნავს 3 მუხლს. პირველი—კანცლერი პირველათ ლაპარაკობს პასიურ წინააღმდეგობის შესახებ, რომელზედაც პირველ სიტყვაში მას არაფერი უთქვამს. მისი სიტყვით, პასიური წინააღმდეგობა არასოდეს არ ყოფილა თვით მიზანი და წარმოებული იყო მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაებრუნებინა გერმანიისათვის სუვერენული უფლებები რეინლანდსა და რურზე. ამ სიტყვებს, გაზეთის შეხედულებით, მხოლოდ ერთი აზრი აქვს—რომ გერმანია მზათაა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ დაიბრუნოს უკანვე რური, მოკავშირეებსაც მხოლოდ ეს უნდოდათ და, ამრიგათ, გერმანიის ბედი ყოველთვის მის საკუთარ ხელში იყო. მეორე, შტრეზემანმა გარანტიებზე ლაპარაკის დროს ის აზრი გამოსთქვა, რომ გერმანიის მთელ ეკონომიურ მეურნეობას იგივე ფასი აქვს, რაც მის თვითეულ ნაწილს. მესამე—კანცლერმა განაცხადა ხალხთა ეკონომიურ კავშირის შესახებ. გაზეთს დასკვნა გამოყავს და ფიქრობს, რომ შტრეზემანის სიტყვა ამტკიცებს, რომ კანცლერს განზრახვა აქვს მოლაპარაკება დაიწყოს.

ბერლინი. 4 სექტ. საფრანგეთის პრესის ნაწილი უარყოფს შტრეზემანის სურვილს თანამშრომლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეკონომიური კავშირის განხორციელება არ შეიძლება პოლიტიკურ კავშირის გარეშე—ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია.

გერმანიის პრესა.

ბერლინი. 4 სექტემბერი. მემარჯვენე პრესა შტრეზემანის სიტყვას უწოდებს „სიტყვების პოლიტიკის“ გატარებას. კოალიციონური პრესა, განსაკუთრებით კი „ფორვერტს“-ი ფიქრობს, რომ კანცლერის სიტყვამ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა რამოდენიმეთ გამოუმჯობესა. გავლენიანი ჟურნალისტი ბერნგარდი „ფოსიშე ცეიტუნგ“-ში სწერს, რომ შტრეზემანის სიტყვას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა, რომლის შედეგების შეფასებაც ჯერჯერობით ძნელია. ეს სიტყვა მოწოდება იყო არა შეცოდებისაკენ, არამედ მოლაპარაკების დაწყებისაკენ გერმანიასა და საფრანგეთს შორის. თეოდორ ვოლფი „ბერლინერ ტაგებლატ“-ში აგრეთვე ფიქრობს, რომ შტრეზემანის სიტყვა იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის გამოსვლა, რომელმაც დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. გერმანია, ადარებს რა გერმანიის მთავრობის პოზიციას პუანკარეს პოზიციასთან, ფიქრობს, რომ ორივე მთავრობების წინადადებების დადებით ხარისხის მხრივ, უპირატესობა, აქტიურობის მხრივ, გერმანიის მხარეზეა.

პარტიული დისციპლინა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობის შესახებ

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია არასოდეს არ ყოფილა თავის ყრილობებზე ისე კომპაქტიურად წარმოდგენილი, როგორც თავის უკანასკნელ ყრილობაზე ა. წ. 25 აგვისტოს.

დელეგატები იყვენ 21 ადგილიდან პარტიის 11.250 წევრის მანდატებით.

224 დელეგატიდან, რომელნიც არჩეული იყვენ კონფერენციების მიერ ადგილებზე, ყრილობაზე გამოცხადდა 221 დელეგატი. შეიძლება სთქვან, რომ ყრილობაზე იყო წარმოდგენილი მხოლოდ პარტიის ბალასტი? ვნახოთ.

სტაჟის მიხედვით დელეგატები, რომელთაც შეავსეს ანკეტები, დანაწილებული არიან შემდეგნაირათ:

1895 წლ. 1900 წ.-დის
16 კაცი, 1901 წ.— 1906 წლ.
98 კაცი, 1907 წ.— 1914 წლ.
27 კაცი, 1915 წ.— 1917 წ. 9 კ.,
1917 წ. 1921 წ.—65 კაცი.

ამრიგათ დელეგატების 67 პროცენტს აქვს სტაჟი 1914 წლამდის.

ასაკის მიხედვით დელეგატები დანაწილებული არიან ასე: 20—30 წ. 34 კაცი, 31—40 წ.—84 კაცი, 41—50 წ.—77 კაცი, 51 წელზე ზევით 20 კაცი.

აქაც ჩვენ ვხედავთ, რომ დელეგატების უმრავლესობას 84 პროც. 30 წელზე უფროსნი არიან, სავსებით მომწიფებულნი, გამოცდილნი და ბრძოლაში გამობრძმედილნი.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ყრილობაზე წარმოდგენილი იყვენ ისეთი ელემენტები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ მუშათა კლასთან? ვნახოთ.

სოციალურ მდგომარეობის მიხედვით მუშები იყვენ—127 კაცი გლეხები—55, მოსამსახურეები—20, ინტელიგენტები (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით)—13.

აქაც ჩვენ ვხედავთ, რომ დელეგატების 8 პროც. მუშებისა და გლეხებისაგან არის გამოსული.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ყრილობაზე ჩვენი ქვეყნისათვის უცხო პირები იყვენ?

ვნახოთ, ვნახოთ!..

დელეგატებიდან იყვენ: ქართველები—191 კ., სომეხი—11 კ., რუსები—7, ბერძნები—1, აზერბეიჯანელი—1, პოლონელი—1, ოსი—3.

აქაც ჩვენ ვხედავთ, რომ დელეგატების 81 პროც. ქართველებია. ამრიგათ შოვინისტურათ განწყობილ ელემენტებს არ შეუძლიანთ სთქვან, რომ ყრილობაზე იყვ'ენ და სწყვეტდენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბედს უცხოელები, რომელთაც საქართველოსთან არაფერი არ აკავშირებთ და სხვა.

აი ასეთი იყო ამ ყრილობის სახე, რომელმაც ისტორიული როლი ითამაშა საქართველოს მუშათა კლასის გაერთიანებისა და მისი მთლიან მუშათა ოჯახში შეყვანის საქმეში 3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ყვენ ყოფილ პარტიას, უნდა გამოვტყდეთ, არ ახსოვს ასეთი ერთსულოვნება, როგორც ეს ამ ყრილობაზე იყო.

მას არ ახსოვს აგრეთვე, რომ ყრილობაზე ასე მრავალ რიცხოვნათ ყოფილიყო წარმოდგენილი მუშური ელემენტები,—პარტიის ეს ხერხემალი.

მას არ შეუძლია დაივიწყოს აგრეთვე ისიც, რომ ყრილობაზე ასე ერთი მეორეზე მიყოლებით გამოდიოდენ მუშები [illegible] იმას, რასაც ისინი გრძნობდენ.

წინეთ მუშები ყურს უგდებდენ პარტიის ლიდერებს, ლაპარაკობდენ მხოლოდ პარტიის ინტელიგენტური ელემენტები და ცოტათ თუ ბევრათ მოწინავე მუშები.

ამ ყრილობაზე სულ სხვა სურათი იყო.

ლაპარაკობდენ არა მარტო მოწინავე მუშები (ამხ. ამხ. ფარნიევი, სიხარულიძე და სხვები). არამედ ისინიც, რომელთაც წინანდელ ყრილობებზე, შეიძლება, აზრათაც არ მოსვლიათ ლაპარაკი.

ლაპარაკობდენ ყველაფერს მოურიდებლათ. ამრიგათ ყრილობამ სავსებით ობიექტიურათ გამოსთქვა თავისი აზრი ყველა საკითხების შესახებ და შესაფერი დადგენილებები გამოიტანა.

როგორი უნდა იყოს ეხლა ჩვენი დამოკიდებულება ყრილობის დადგენილებებისადმი?

ჩვენ ყოფილ პარტიას (ეს პირდაპირ უნდა იყოს ნათქვამი) ყოველთვის ახასიათებდა სამაგალითო დისციპლინა.

ამ მხრივ ჩვენ თითქმის არ ჩამოვრჩებოდით კომუნისტურ პარტიას, რომელიც მთელს ქვეყანაზე ცნობილია თავისი ორგანიზაციით და დისციპლინით.

აქედან აშკარაა, რომ სრულიად საქართველოს ყრილობის დადგენილებები, რომელნიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეხებიან, კანონი უნდა იყოს ამ, ეხლა უკვე ყოფილ პარტიის, წევრებისათვის.

პარტიამ ლიკვიდაცია უყო თავის თავს და მოუწოდებს ყველა თავის ყოფილ წევრებს დადგენ 3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ეს დადგენილება უნდა შეასრულოს ყველამ, იმათაც კი, რომელნიც, შეიძლება, სავსებით არ ეთანხმებიან ამას.

ეს არის დისციპლინის მოთხოვნილება.

ამა წლის 31 აგვისტოდან აღარ არსებობს უკვე მენშევიკური პარტია.

ამ მომენტიდან აღარ არსებობენ უკვე პარტიის არავითარი ხელმძღვანელი ორგანოები, გარდა ცენტრალურ საინიციატივო ბიუროსი, რომელმაც უნდა მოიწვიოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სრულიად საკავშირო ყრილობა.

და ის, ვინც ამიერიდან თავის თავს გამოაცხადებს ამ პარტიის წევრათ, ვინც მოაწყობს ამ უკვე გაუქმებულ (პარტიის) ხელმძღვანელ ორგანოებს, ანდა განაგრძობს მუშაობას იმ ორგანიზაციებში, რომელნიც ითვისებენ პარტიის უფლებებს, ჩვენ მას მივიღებთ როგორც დეზორგანიზატორს, „სამოზვანეცს“ და პარტიის დისციპლინის დამრღვევს.

პარტიული მასის მოვალეობაა, იმ მასის, რომელმაც თავისი აზრი გამოსთქვა ყრილობაზე და შესაფერი დადგენილებები გამოიტანა, ყური არ ათხოვოს მუშათა მთლიანი ოჯახის დეზორგანიზატორებს და მკერდით დაიცვას იმ ყრილობის დადგენილებები, რომელმაც გამონახა პროლეტარიატისათვის ერთად ერთი მისაღები გზა თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში.

ა. რ—ძე.

ჩინეთი იღვიძებს

ჩინეთის კომპარტიის მოწოდება

პეკინი. 3 სექტემბერი. კრიზისი პოლიტიკურ მდგომარეობაში ყველასათვის ცნობილია. ყველა ეძებს ეხლა რაიმე გადაწყვეტილებას, მაგრამ გონების გაფხიზლება ყოველთვის პოლიტიკურ მოვლენებზე გვიან ხდება. არსებულ პოლიტიკურ კრიზისის ფესვები შორეულ წარსულის ამბებში იმალება. პრეზიდენტის პოსტიდან ლი-უან-ხუნის განდევნა ტცაოს ჯგუფის მიერ მხოლოთ ერთ-ერთია იმ მრავალ კრიზისებს შორის, რომლებიც უკვე დიდი ხანია ერთი მეორეს მოსდევს მაგრამ, როდესაც ჩვენ გვიკვირს საბოლოვო ამბები, რომლის ძირითადი მიზეზებისათვის არ მიგვიქცევია სათანადო ყურადღება, როგორ შეგვიძლია ვიქონიოთ ეჭვი, რომ შესაძლებელია გამოინახოს სწორი გზა მრავალ კრიზისებით შერყეულ ქვეყნის გადასარჩენათ?

ჩინეთმა 12 წელიწადი განვლო რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩინეთში მეფობდა რესპუბლიკასთან სრულიათ შეურიგებელი ბეი-იანის ჯგუფის მილიტარიზმი. მოხდა იუნ-ში-კაის გადატრიალება, ჩჟან-სიუნ-ომის მონარქიის რესტავრაცია, ქვეყნის დარბევა ან-ფუს კლუბის მიერ; ამისდაგვარათ, ჩვენ ეხლაც ვართ ცაო-კუნიას თამაშის მოწმენი. ეს განუწყვეტელი ხანა შიშისა და მღელვარების ბუნებრივი შედეგი იყო ბეი-იანის სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლებისა, რომელიც მუშაობდა უცხოეთის იმპერიალისტებთან ერთად.

რაც უფრო მეტათ გრძელდება ეს ხანა, მით უფრო ძლიერდება ჩინეთის ექსპლოატაცია უცხოეთის იმპერიალისტების მიერ. ეს—მორიგი კრიზისის ძირითადი მიზეზია, რომელსაც ტანჯვა მოაქვს ჩინეთისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ჩაკალ-ცზოლინის დამარცხება იყო იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხება, ხოლო უ-პეი-ფუს გამარჯვება ამერიკის იმპერიალიზმის გამარჯვებას წარმოადგენს.

ზოგი პირები ცაო-კუნიას და ლის თამაშს უყურებენ, როგორც პოლიტიკურ კრიზისის ფოკუსს, მაგრამ საკითხი არც ისე მარტივია. ლის განდევნა ცაომ გაბედა. მხოლოთ იმიტომ, რომ მას ამერიკელები უმაგრებდენ ზურგს. ეს განდევნა ბუნებრივი გამოხატულება იყო უცხოეთის ძალთა და მილიტარისტების გაერთიანებულ მუშაობისა, რომელმაც ჩინეთში პოლიტიკური კრიზისები და გართულება გამოიწვია. მაგრამ, ეს არ არის ერთად ერთი მიზეზი ჩინეთის სახიფათო პოლიტიკურ მდგომარეობისა. ჩინეთის მრავალ კრიზისების ძირითადი მიზეზი მდგომარეობს ბეილ-იანის მილიტარისტების ბატონობაში, დემოკრატიის დახშობაში, უცხო ძალებთან თანამშრომლობაში და ქვეყნის უფლებების გაყიდვაში. თუ ჩვენ შევეცდებით განვთავისუფლდეთ ამ მიზეზებისაგან, პოლიტიკური კრიზისები ჩვენში მუდმივ მოვლენათ დარჩება.

ცაო-კუნია დიდი ხანია ზურგს იმაგრებს პარლამენტის უმეცარ, უსირცხვილო და გაუმაძღარ წევრთა დახმარებით. თუ მათ შორის არის წმინდა და პატიოსანი ელემენტი, რატომ არ გამოვიდა ის ასპარეზზე. ვაჭართა, სტუდენტების და მუშათა ორგანიზაციებმა კატეგორიულათ უარყვეს პარლამენტის უფლება ხალხის წარმომადგენლობაზე. მაშ ხალხის რომელ ელემენტებს წარმოადგენს პარლამენტი? როდესაც პარლამენტი დაამთავრებს კონსტიტუციას და პრეზიდენტის არჩევნებს, ხალხი განაცხადებს, რომ პარლამენტის დადგენილებას არავითარი ფასი არ აქვს.

სამხრეთ დასავლეთის გენერლები, რომლებიც ინახავენ ჯეჯერთელა არმიას, ახშობენ ხალხის უფლებებს და პირად კეთილდღეობისათვის ზრუნავენ, ისეთივე ღირსებისანი არიან, როგორც ბეილიანის მილიტარისტები. ისინი ცდილობენ განახორციელონ ავტონომიურ პროვინციების ფედერაცია, მაგრამ, სინამდვილეში კი ისინი აწყობენ მხოლოდ დუნზიუნების ავტონომიას.

წარსულმა გვასწავლა ჩვენ, რომ ეს არის მხოლოთ ბრძოლა ტერიტორიისათვის და არა ბრძოლა დემოკრატიისათვის „ფეოდალიზმის“ წინააღმდეგ. ამ იდეის დამცველები არიან ის პოლიტიკანები, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ საკუთარ ინტერესებისათვის სამხრეთ-დასავლეთის ძალები: დაიკავონ კარგი ადგილი ან გაამაგრონ ლი-იუან-ხუნის საპრეზიდენტო სავარძელი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა და რევოლიუციონურ მთავრობის დაარსება მოითხოვს ჩვენი ხალხისაგან, დიდ ღონისძიებას, ტანჯვას და სიმწარეს. ჩვენ ვერ მივსდევთ ზოგიერთ კორეელ ნაციონალისტების მაგალითს, რომლებიც ვერსალის და ვაშინგტონის კონფერენციებზე მოითხოვდენ მათ ცნობას. ჩვენ გვძულს მილიტარისტები, რომლებიც აწყობენ თავის საქმეებს ჩუმათ უცხოეთის სახელმწიფოებთან ერთად. მაგრამ მრავალი იმათგან, რომლებსაც ძულთ მილიტარისტები ცდილობენ უზრუნველყონ უცხო სახელმწიფოების დახმარება მილიტარისტულ ხელისუფლებას დასამარცხებლათ.

ხალხი, რომელსაც არ შეუძლია გაიგოს მილიტარისტებსა და იმპერიალისტებს შორის არსებული უახლოესი თანამშრომლობა, ვერ შექმნის დამოუკიდებელ ავტონომიურ სახელმწიფოს. ჩვენ პირიქით მოვითხოვთ მხოლოდ ხალხის მიერ შედგენილ მთავრობას, კოალიციის მიერ შექმნილ მთავრობას. ხალხს არასოდეს არ შეუძლია იცნოს ისეთი მთავრობა, რომელიც შედგენილია რომელიმე იმპერიალისტურ სახელმწიფოს მიერ.

ძმებო, ცაო-კუნოსთან ბრძოლა ერთ-ერთ ზემოდ აღნიშნულ მეთოდით იქნებოდა ხალხის უკანონო მოქმედება.

ჩვენი აზრი ასეთია: უნდა მოვიწვიოთ ეროვნული კონგრესი სავაჭრო პალატის, მიწის მუშების, მუშათა კავშირების და სხვა პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით.

კონგრესი უნდა იქნას მოწვეული გუომინდანის პარტიის მიერ, რომლის ისტორიული როლია—ნაციონალური რევოლიუცია.

თუ გუომინდანი ანგარიშს არ გაუწევს ხალხის ძალებს ამ დიად მომენტში და დაკმაყოფილდება სამხედრო უფროსთა მშვიდობიანი კონფერენციის მოწვევით, რომელსაც მოჰყვება შედეგად ან ახალი ომი მათ შორის, ან ხალხის დაჩაგვრა მათ მიერ, მაშინ ეს პარტია ვერ შეასრულებს თავის ისტორიულ ამოცანას.

ჩინეთის ხალხს არ შეუძლია უმოქმედოთ დარჩეს და გადგეს განზე. მაგალითად შანხაის სავაჭრო პალატის დემოკრატიულ კომიტეტს უნდა დაეკისრებია თავის თავზე პასუხისმგებლობა ახალი სიტუაციის შექმნისათვის, რაც გადაარჩენდა ქვეყანას და ხალხს. პეკინის პარლამენტი, რომელიც არის ფეოდალურ მილიტარისტების იარაღი, არ არის ცნობილი, როგორც ხალხის წარმომადგენლობა. ეროვნული კონგრესი, როგორც მთელი ერის ნამდვილი წარმომადგენელი დაიკისრებს კონსტიტუციის შემუშავების, ქვეყნის გაერთიანების და ჩინეთის ახალ მთავრობის შედგენის საქმეს. მხოლოდ ამ კონგრესს ექნება სრული უფლებები, რაც ყოველ სხვა ორგანოს წაართმევს უფლებას ჩინეთის მართვა-გამგეობისას ჩინეთის ხალხის სახელით.

ახალი მთავრობა, რომელსაც შეადგენს ეროვნული კონგრესი, ნამდვილ რევოლიუციონურ-ნაციონალური ძალებით შეზღუდავს ჩინეთის მილიტარისტების და უცხოეთის ყველა იმპერიალისტების ძალა-უფლებას. ეს მთავრობა იქნება ჭეშმარიტად ხალხური და არა მარტო ადგილობრივი მთავრობა. იგი არ იქნება მილიტარისტების მთავრობა უცხოეთის იმპერიალისტების კონტროლის ქვეშ. ძმებო, ეს ერთად-ერთი გზაა ჩინეთის ხალხის გადასარჩენად მილიტარისტების და უცხო სახელმწიფოების ჩაგვრისაგან.

ძირს იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომელნიც სარგებლობენ იმპერიალისტებით ჩინეთის ექსპლოატაციის მიზნით.

ძირს მილიტარისტები, რომელნიც უცხო სახელმწიფოებთან ერთად ჩაგრავენ ხალხს!

მთელი ჩინეთის ნაციონალ-რევოლიუციონერებო, შეერთდით“!

ჩინელ სტუდენტების პროტესტი საერთაშორისო ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.

პეკინი. 3 სექტ. პეკინის სტუდენტების კავშირმა, რომელშიაც ითვლება 25.000 კაცი, გამოაქვეყნა მანიფესტი მთელი მსოფლიოს ხალხების, საბჭოთა რუსეთის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების მუშებისადმი მანიფესტი მოუწოდებს მათ პროტესტი განაცხადონ იმპერიალისტების მიერ ჩინეთის რკინისგზებზე კონტროლის დაწესების წინააღმდეგ და ხელი შეუწყონ ჩინეთის ხალხს წინააღუდგეს იმპერიალისტების შეთქმულებას, რომლის მიზანია ჩინეთის დამონავება. მოწოდებამ, რომელიც გამოქვეყნებულია ბევრ გაზეთებში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წრეებში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი. 3 სექტემ. წითელი ჯვრის კონფერენციის სხდომაზე ჟენევაში იხილავდნენ იმ კონფლიქტს, რომელიც წარმოშვა წითელი ჯვრის ლიგამ დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვით და საერთაშორისო კომიტეტის გაუქმებით. როცა საკითხი დაისვა კონფერენციის დღის წესრიგში, ლიგა ცდილობდა მის ჩაშლას. საერთაშორისო წითელი ჯვრის თავმჯდომარემ ადორმა სასტიკი პროტესტით გაილაშქრა ბრძოლის ასეთი მეთოდების წინააღმდეგ.

რუსეთის წითელი ჯვრის დელეგატმა ზაგორსკიმ აღნიშნა ოპოზიციის პრინციპიალურ მოტივების უქონლობა, ხაზი გაუსვა საერთაშორისო წითელი ჯვრის დამსახურებას და წინადადება შეიტანა, რათა ეს საკითხი განხილულ იქნას პლენარულ საჯარო სხდომაზე. მიღებულ იქნა საფრანგეთის დელეგაციის წინადადება საკითხის მხოლოდ პლენარულ სხდომაზე განხილვის შესახებ. 30 აგვისტოს სხდომაზე რუსეთის, ოსმალეთის, სპარსეთის, არგენტინის და საფრანგეთის დელეგატების გამოსვლის შემდეგ საკითხი გადაეცა კომისიას.

„მარიამ თეოდორის ასულის ფონდისათვის“ სახელის გამოცვლა.

ბაგოცკის გამოსვლის შემდეგ „მარიამ თეოდორის ასულის ფონდის“ შესახებ კომისიამ მიიღო ცნობად რუსეთის წითელი ჯვრის მოლაპარაკება საერთაშორისო კომიტეტთან და გამოსთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ რუსეთის წითელ ჯვარს განზრახული აქვს აღადგინოს ფონდი სხვა სახელწოდებით. 31 აგვისტოს პლენარულ სხდომაზე **საფრანგეთის წითელი ჯვრის დელეგატმა კლეპანმა აღნიშნა, რომ ფონდი უკვე აღარ არსებობს და რუსეთის წითელ ჯვარს კი სურს აღადგინოს ასეთი ფონდი სხვა სახელწოდებით. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. მეფის წითელი ჯვრის დელეგატი ვიტტე, რომელსაც უნდოდა პოლიტიკური ხასიათის განცხადების შეტანა, შეჩერებულ იქნა თავმჯდომარის მიერ, რომელმაც წაართვა მას სიტყვა.** კულუარებში თეთრი ჯვრის მდგომარეობამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია, **რაც მოწმობს რუსეთის წითელი ჯვრის ავტორიტეტის ზრდას საერთაშორისო მასშტაბით.**

სხვადასხვა

იაპონიის ახალი კაბინეტი.

პეკინი. 3 სექტემბერი. **იაპონიიდან მიღებული ცნობების თანახმად, იამანოტოს კაბინეტი დამტკიცებულია პრინც-რეგენტის მიერ. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია გოტო.**

პოლონეთი.

ცვლილება მთავრობის შემადგენლობაში.

ვარშავა. 3 სექ. პოლონეთის მთავრობაში შემდეგი ცვლილება მოხდება: ფინანსთა მინისტრის თანამდებობას დაიჭერს კუჭარსკი, ვაჭრობა მრეწველობისას — შიდლოვსკი, ვიტოსის პარტიის წევრი.

რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის გარდაცვალება.

ვარშავა. 3 სექ. ვარშავის საავადმყოფოში მენინგიტით გარდაიცვალა პოლონეთში მყოფი რუსების სრულუფლებიანი წარმომადგენელი მანკევიჩი. განსვენებულის ცხედარს მოსკოვში გადმოასვენებენ.

უნგრეთი.

დიდი შეთქმულების აღმოჩენა.

ვენა. 3 სექ. ფაშისტების ტერორისტული ორგანიზაციის „უნგრეთის გამოღვიძების“ წევრთა დატუსაღება შედეგია დიდი შეთქმულობის აღმოჩენისა, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ. უნგრეთის მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას ხელთ აქვს საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დატუსაღებულები დიდ სახელმწიფო შეთქმულობას აწყობდენ. გაზეთების ცნობებით, რეაქციონერებმა ამ ბოლო დროს გააძლიერეს თავისი მოქმედება, რათა პროვოკაცია გაეწიათ მცირე ანტანტასთან კონფლიქტის შესაქმნელად და იმედოვნებდნენ, რომ ანექსია ქმნილ ოლქების მცხოვრებნიც მხარს დაუჭერდნენ.

ავსტრია.

ვენა. 3 სექტემბერი. გამოვიდა პირველი ნომერი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ოპოზიციისა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს კომუნისტებთან საერთო ფრონტის შექმნას და მათთან ერთად საზიარო სიის შედგენას ეროვნულ საბჭოს მომავალ არჩევნებში.

ავსტრია

ბურჟუაზიის მთლიანი ფრონტი დამარცხდა.

ვენა. 3 სექტემბერი. ეროვნულ საბჭოს არჩევნების მოახლოების გამო ბურჟუაზიულმა პარტიებმა სცადეს ერთიანი ბლოკის შექმნა, რომელიც უშედეგოდ დარჩა ნაციონალისტების გადაწყვეტილებისგამო, რათა თავი შეეკავებინათ არჩევნების დროს.

კომპარტია არჩევნებში გამოდის დამოუკიდებლად და განაგრძნობს ენერგიულ პროპაგანდას.

შეერთებული შტატები

ექსპედიციის დაბრუნება ვრანგელის კუნძულიდან.

ნიუ-იორკი. 3 სექტემბერი. ალიასკაში დაბრუნდა ინგლისელ ნოისის ექსპედიცია, რომელიც გაემგზავრა ვრანგელის კუნძულზე ინგლისის პირველ ექსპედიციისათვის დახმარების აღმოსაჩენად, პირველი ექსპედიცია გაემგზავრა კუნძულზე 1921 წელს. დაბრუნებული ექსპედიცია იტყობინება, რომ მან იქ ნახა წინანდელი ექსპედიციის მხოლოდ ერთი წევრი დანარჩენი დახოცილან.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ჩეხო სლოვაკია

მუშები უომრათ არ დაჰყრიან იარაღს.

პრაღა. 3 სექტემბერი. სამთომადნო მუშათა საგაფიცვო კომიტეტის მოლაპარაკება მრეწველებთან და მთავრობასთან უშედეგოთ დამთავრდა. **გაფიცვა გრძელდება, საგაფიცვო კომიტეტი ამზადებს ულტიმატუმის პროექტს მრეწველების მიმართ, რომელშიაც იგი იმუქრება მაღაროების დაცვის შეწყვეტით იმ შემთხვევაში თუ მუშათა მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნა.** გაფიცვის გამო პრაღაში თავს იჩენს ნახშირის მწვავე კრიზისი; მოსალოდნელია ელექტრონის განათებისა და ტრამვაის მიმოსვლის შეწყვეტა, ამ დღეებში შესდგება სრულიათ სახელმწიფოს სამთომადნო მუშათა კონფერენცია.

იტალიის კომპარტიის განცხადება

რომი. 3 სექტემ. იტალიელ კომუნისტების დაპატიმრების ცნობის გამო, იტალიის კომპარტიის ცეკა აცხადებს: **კომპარტია არ აწყობს შეთქმულებას, პირიქით, ფაშისტების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება არის პოლიტიკურ ავანტიურისტების შეთქმულების შედეგი. პროლეტარიატის ბრძოლა ფაშიზმთან არის ბრძოლა კაპიტალის დიქტატურის წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება დამხობილ იქნეს მხოლოდ მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციების მიერ სწორეთ ამიტომ, იტალიის კომპარტიას არ შეუძლია უარის თქმა არალეგალურ მუშაობაზე.**

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ბამბის კარგი მოსავალი.

მოსკოვი. 4 სექტ. ბამბის მთავარ კომიტეტის ცნობით, ბამბის მოსავალმა წელს ღირსებისა და რაოდენობის მხრით ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა, რის გამო თურქესტანში, ხივაში, ბუხარაში მოკრეფილი იქნება 3.500.000 ფ. ბამბა.

„მოსავლის დღესასწაულის“ პროგრამა.

მოსკოვი. 4 სექტ. ენკენისთვის დამლევისათვის დანიშნული „მოსავლის დღესასწაული“ გატარებულ იქნება რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის მიერ მიწათმოქმედების მუშათა პროფკავშირის, კოოპერაციის, განათლების სახალხო კომისარიატის, წითელარმიელთა და სტუდენტების მონაწილეობით ყველა მსხვილ სოფლებში, დღესასწაულის პროგრამაში შედის: მოხსენებები სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, ადგილობრივ საჩვენებელ გამოფენათა მოწყობა, რომლებზედაც გლეხობა გაეცნობა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გადამუშავებას და მიწადმოქმედების ახალ ფორმებზე გადასვლით გეგმებს, სამანქანო მუშაობას და სხვას, მოხსენებების შემდეგ გამართული იქნება ზეიმი ცალკე გლეხებისა და საბჭოთა საუკეთესო მეურნეობების საპატივცემოთ და მათი დაჯილდოება.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესასწაული

მოსკოვში.

მოსკოვი. 3 სექ. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მოსკოვში დიდის აღფრთოვანებით იდღესასწაულეს. დილიდანვე მჭიდროდ დარაზმული ახალგაზრდობა სიმღერით გაემართა წინდაწინვე დანიშნულ ადგილებისაკენ. მთელს მოსკოვში გაისმოდა მხიარული და მძლავრი ხმა ახალგაზრდობისა. ახალგაზრდა კომუნისტური ახალგაზდობისა და ჯარში გასაწვევ ასაკის ახალგაზდობის რაზმები მთელი მოსკოვის ქუჩებზე მიდიოდენ დროშებით, რომლებზედაც შემდეგი წარწერები ჩანდა: „დასავლეთის ახალგაზრდობავ, ემზადე“, „კომუნიზმშია ფაშიზმის სასიკვდილო განაჩენი“, „კომუნისტური ახალგაზრდობის რაზმებო, გაფოლადდით—ფაშიზმი ვერ გაგიძლებთ“. „გაუმარჯოს საერთაშორისო ახალგაზრდობას სოლიდარობას“.

წითელ მოედანზე ამართული იყო ტრიბუნა, რომელზედაც იყვნენ კალინინი, რუძუტაკი, ზელენსკი, და რუსეთის კომუნ. ახალგაზ. კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მდივანი ვაიუტინი. ტრიბუნის წინ 3 საათის განმავლობაში მოიმართებოდა მოსკოვის ყველა უბნებიდან ახალგაზრდობის რაზმები. ტრიბუნიდან გაისმა ლოზუნგი ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა მქუხარე პასუხი „მზადა ვარ“, „მჭიდროდ ვირაზმებით“. მსვლელობაში მონაწილეობდა ერთ მეოთხედ მილიონამდე ახალგაზრდობა. ზეიმმა დაღამებამდე გასტანა. თეატრებს და კლუბებში მოეწყო წარმოდგენები და ინსცენიროვკები დღიურ პროგრამაზე.

უკრაინაში

გერმანიის პროლეტარიატთან სოლიდარობის დემონსტრაცია.

ხარკოვი. 3 სექტემბერი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესასწაულმა გერმანიის ამბების და გერმანიის ახალგაზრდობის წარმომადგენელ უნგერის ჩამოსვლის გამო; დემონსტრაციის ხასიათი მიიღო გერმანიის პროლეტარიატისადმი სოლიდარობის გამოთქმისა. მთავრობის სახელით ახალგაზრდობას მიესალმა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჩუბარი, რომელმაც განაცხადა: „[illegible] ხავსი, რომელსაც წყალწაღებული ბურჟუაზია ებღაუჭება“. ჩუბარმა, სიტყვის დასასრულს დიდი გრძნობით შეუთვალა გერმანიის ახალგაზრდობას და უსურვა, რომ გაიმარჯვოს მუშათა რევოლიუციონურ ახალგაზრდობამ.

გერმანიის ახალგაზრდობის სახელით გამოვიდა ამხ. უნგერი, რომელმაც აღნიშნა: დღევანდელს დღეს, საბჭოთა კავშირის გარდა, მთელს ქვეყანაზე არსად არ დღესასწაულობენ. არამედ სისხლს ჰღვრიან. გერმანიაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის“.

პოლონეთის კომუნ. ახალ. კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: თუმცა პოლონეთის მთავრობა გვდევნის, მაგრამ პოლონეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი მაგრდება და აქტიურად მუშაობს პარტიასთან ერთად.

ომში გაწვევის ასაკამდე მიუღწეველ ახალგაზრდობის პარადის შემდეგ, ახალგაზრდობამ დემონსტრაციით გაიარა ქუჩები. მიტინგები და წარმოდგენები შუაღამემდე გაგრძელდა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

მესაქონლეობის დღე.

მოსკოვი. 4 სექტ. კვირის გამოფენაზე გამართული იყო მესაქონლეობის დღესასწაული. გამოფენის მთელ ტერიტორიაზე გაატარეს პრემიებით დაჯილდოვებული საქონელი ნაციონალურ ხოროების და ორკესტრების და საკავშირო რესპუბლიკის ხალხთა წარმომადგენლებას თანხლებით, მიტინგზე მიღებულ იყო რეზოლიუციები საგლეხო მეურნეობის აღდგენისათვის მთელი ძალ-ღონის მოხმარების საჭიროების შესახებ.

სამანქანო აღმშენებლობის პავილიონი

მოსკოვი 4 სექტ. კვირას გამოფენაზე ამხ. ამხ. პიატაკოვის, ბოგდანოვის, შეფლერის, სკიდერსკის, რიკოვის და კალინინის თანდასწრებით გახსნილი იყო სამანქანო აღმშენებლობის პავილიონი, რომელზედაც გამოფენილი იყო მეტალურგიულ მრეწველობის ყველა ტრესტისა და წარმოების მანქანები, ექსკურსანტების, გლეხებისა და სხვა სტუმრების გარდა, ზეიმს დაესწრო მეტალურგიულ მრეწველობის მუშათა დელეგაციები.

წითელი დროშა გლეხებისაგან.

მოსკოვი. 4 სექტ. კვირას კურსკის გუბერნიის ექსკურსანტ გლეხების დელეგაციამ, სოფლისა და ქალაქის და აგრეთვე, გლეხურ შრომის და მეცნიერების კავშირის აღსანიშნავათ, გამოფენის მთავარ კომიტეტს მიართვა წითელი დროშა.

იაპონიის და მანჯურიის ექსპონატები.

ჩიტა. 4 სექტემბერი. შორეულ აღმოსავლეთის საგამოფენო კომიტეტმა საკავშირო გამოფენაზე გაგზავნა იაპონიის და სამხრეთ-მანჯურიის რკინისგზის ექსპონატები. მოსკოვში გაემგზავრა კამჩატკის ექსკურსანტთა ჯგუფი.

ურალის ავტოქარხნის ექსპონატები.

ეკატერინენბურგი. 4 სექტემბერი. ურალის სატრანსპორტო სამართველოს ავტოქარხანა გამოფენაზე გზავნის გამოსაცდელათ ტვირთმზიდველს და მსუბუქ ავტომობილებს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

მომგებიანი ბილეთები.

ბაქო. 3 სექტემ. რუსეთის სახელმწიფო ბანკის ბაქოს კანტორამ დაიწყო გაცემა რუსეთის მე-2 მომგებიან ბილეთებისა 23,000 მანათის ღირებულებისა. ეს ლატარია მოწყობილია სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ცენტრალურ კომიტეტის მიერ.

თურქების პოლიტექნიკუმი

ბაქო. 3 სექტემ. სამოსწავლო გეგ-

გამ. მენშევიკური პარტიის დაშლა

საქართველოს მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა

კამათი ეროვნული საკითხის შესახებ

რუხაძე (გაგრძელება): არის თუ არა შესაძლებელი დღეს მოვიდეს ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტური ჯარი და დაგვიპყროს ჩვენ. არა. ამის შესაძლებლობა დღეს არ არის, იმიტომ რომ ჩვენთან ერთად არის რუსეთი. დღეს რომ ინტერვენციით მოდიოდნენ, მათ წინ აღუდგებათ რუსეთის ჯარი, რომელიც აქ არის არა იმიტომ, რომ დაიპყროს საქართველო, არამედ იმიტომ, რომ გაუმკლავდეს დასავლეთ იმპერიალისტურ ინტერვენციას, თუ ეს ვინმემ მოინდომა.

შეკითხვა: „ვიყავით თუ არა ჩვენ მიზეზი ანტანტის ჯარის შემოსვლისა“.

ვიყავით, ამხანაგებო, იმდენათ, რამდენათ ჩამოვშორდით რუსეთს, და გამოვაცხადეთ, რომ დამოუკიდებელნი ვართ, მაგრამ ჩვენი დამოუკიდებლობა იყო იმდენად სუსტი, რომ საქართველო გახდეს სასიარულო გზათ და ბაზათ თავის იმპერიალისტურ მიზნების განსახორციელებლად აღმოსავლეთში.

შეკითხვა: „რუხაძე ამბობს, რომ საქართველოში მუშა-მოსამსახურეებში ქართველი არის 27 პროც. განა ღარიბი ხალხი ჩვენ აღარ გვყავს, რატომ 60 პროც. არ არისო.“

მე მოგახსენებთ, ამხანაგებო, რომ ტფილისში არის 37 პროც. ქართველი მუშა-მოსამსახურეების. მე მოგახსენებთ, რომ ეს პროპორცია სწორეა. და ისიც გითხარით, რომ თუ, ჩვენ მოვითხოვთ ჩვენთვის ეროვნულ პატივისცემას და თავაზიანობას, ამავე დროს ჩვენც ასეთივე თავაზიანობა უნდა გამოვიჩინოთ ყველა დანარჩენის მიმართ. მაგალითად, ტფილისში არ არის 60 პროც. ქართველების და როგორ უნდა ვსთქვათ, რომ აუცილებლად ქარხნებში ქართველი მუშები უნდა იყვნენ და სხვები გავრეკოთ. ეს არ შეიძლება და არცა გვყავს იმდენი ქართველი მუშა. (ხმაურობა). რაც შეეხება დაწესებულებებს, იქ უმრავლესობა ქართველები არიან. ქალაქის საბჭოში 60 პროც. არის ქართველი მუშა-მოსამსახურე. და თუ ერთად ავიღებთ — მოსამსახურეს და მუშას,—მუშისათვის არ არის საჭირო ქართული ენის ცოდნა. ზინკალმა რა საჭიროა უეჭველად ქართული იცოდეს. ამიტომ დასაშვებია, რომ ვიყუთ მხოლოდ 37 პროც. მაგრამ, საერთოდ, მაინც მეტნი ვართ.

შეკითხვა: „თქვენ თქვით რუსეთის პროლეტარიატის მოვალეობაა დაიცვას მტკიცედ ქართული ენა. რატომ ქართველმა კომუნისტებმა არ უნდა დაიცვან ეს: თუ არის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, მათ მოვალეობა უნდა შეადგენდეს, როგორც დამოუკიდებლობის, ისე ეროვნულ ენის დაცვა“.

ცხადია ეს, ამხანაგებო. მე გითხარით მე-12 ყრილობის დადგენილების შესახებ, ამას ცხოვრებაში ატარებენ ადგილობრივი კომუნისტები, თქვენ იცით, რომ მათ პარტიაში არის სასტიკი სამხედრო დისციპლინა. არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არასდროს არ ყოფილა ასეთი დისციპლინა. ყრილობის დადგენილებას რომ არ ეთანხმებოდენ კიდეც; იძულებულნი არიან გაიყვანონ ცხოვრებაში ეს დადგენილება. ამიტომ ასეთი შეკითხვა,—რატომ არ ატარებენ ცხოვრებაში ქართველი კომუნისტები ამ დადგენილებას, — უაზრო შეკითხა არის. ატარებენ და უნდა გაატარონ კიდეც.

შეკითხვა: „რატომ არ ტარდება რკინისგზაზე ქართული ენა, თქვენ ამბობთ, რომ ყველგან ნაციონალიზაცია ხდებაო. რათ არის, რომ რკინისგზაზე ერთი ქაღალდი ქართულად იბეჭდება, მეორე რუსულადო“.

ამხანაგებო, რკინისგზაზე მიწერ-მოწერა იყო რუსულ ენაზე, იმიტომ რომ რკინის გზა გაერთიანებული არის. შეუძლებელია, რომ რკინის გზა იყოს საქართველოს საზღვრებზე, სომხეთში, აზერბეიჯანში და სხვაგან ცალ-ცალკე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული არის დიდ სახელმწიფოსთან, მიუხედავად ამისა—საქართველოს ტერიტორიაზე ქართულად არის საქმის წარმოება, სომხეთში—სომხურად, აზერბეიჯანში—თათრულად. ამნაირად სახელმწიფოებრივი ენა სრულიად დაცულია რკინის გზაზე. მაგრამ პარალელურად თუ იწერება რუსულადაც,—ეს იმიტომ, რომ რკინისგზა გაერთიანებულია რუსეთთან. და რომ ქართულ ენაზე დაწერილი გავგზავნოთ რუსეთში—ეს შეუძლებელია. შეუძლებელია ყოველ სადგურზე მათ ჰყავდეთ ქართულის მთარგმნელი. შეუძლებელია ამის მოთხოვნა. აი ამიტომ პარალელურად ქართულ ენასთან, რუსულიც არის გაყვანილი.

შეკითხვა: „ეხლა რომ ჩამოსთვალეთ შეცდომები, რატომ წინეთ არ ლაპარაკობდით ამაზე, სად იყო მაშინ თქვენი ხმა“.

ამხანაგებო, მე გითხარით, რომ შეცდომების აშორება არას დროს არ არის დაგვიანებული. გუშინ და გუშინ-წინ ვამბობდი, რომ რევოლიუცია არის ბრძოლა, არის ფრონტი, ბრძოლის ველი. იქ, შეიძლება, დამარცხდეს კაცი და გზას ასცდეს. მაგრამ, ყოველ რევოლიუციონერის ვალი არის თავის შეცდომები აღიაროს. ამაზე ვლაპარაკობდი მე მენშევიკურ მთავრობის დროსაც, დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მაგრამ ჩემი ხმა მაშინ სუსტი იყო. მე ისეთივე ვარ, როგორც ყველა თქვენგანი. მე სხვა არა ვარ. და ჩვენ დავინახეთ შეცდომები, ვაღიარეთ აქ. ეს საძრახი არ არის. და რომ მე ეს ორი წლის წინეთ მეთქვა,—შესაძლებელია მაშინაც შემეკითხებოდით, რატომ ადრე არა სთქვიო. ძნელია ამხანაგებო, ამისთანა შემთხვევაში დროს განსაზღვრა. შეიძლება, ბევრმა თავის შეცდომები ათი წლის შემდეგ დაინახოს, რადგანაც, როგორც ვამბობ, ამის განსაზღვრა ძნელია. სცდებოდა მთელი თაობა, მთელი ხაზი შემცდარ გზაზე იდგა, მთელი მიმართულება. და ეს მხოლოდ დღეს გამომჟღავნდა და სწორედ მაშინ, როცა ახლოს მივედით საბჭოთა აღმშენებლობასთან, მას დაუახლოვდით, და მას გავეცანით.

ჩვენ არ ვიცოდით რა ხდებოდა რუსეთში, როგორი იყო საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა, ჩვენ გვქონდა მეტად ყალბი ინფორმაცია და, თავისთავად ცხადია, რომ ამ ყალბ ინფორმაციის ნიადაგზე ჩვენ ხანდახან მეტად მტრულად განწყობილნი ვიყავით საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მაგრამ როდესაც ის აქ მოვიდა, დავინახეთ—რა იყო სინამდვილეში. თქვენ იცით, თქვენ გახსოვთ, რომ საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ნოე რამიშვილი ამბობდა,—რომ რამდენადაც მოგვიახლოვდება საბჭოთა ხელისუფლება, იმდენად მეტად მტრულ განწყობილებაში ვიქნებით მათთან, რადგანაც მუშები გაიცნობენ მას. მაგრამ, ჩვენ წინააღმდეგი დავინახეთ. როდესაც ის აქ მოვიდა, დავინახეთ, რომ ტარდება ცხოვრებაში ნამდვილი მუშური პოლიტიკა. აქ ადგილი აქვს მუშურ ხელისუფლებას და ამის წინააღმდეგ გალაშქრება შეცდომა იქნება. ჩვენ დავინახეთ ისიც, რომ დღეს ისეთი პირობები შეიქნა, რომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება ბრძოლა რეაქციის სასარგებლოდ. ამიტომ ვაცხადებთ, ჩვენ ძველ გზას უარვყოფთ და ვდგებით ახალ გზაზე.

შეკითხვა: „რა სჯობდა—გერმანიის პროტექტორატით შეგვენარჩუნებინა ფიზიკური არსებობა, თუ რუსეთის ჯარის შევოსვლით მიგვეცა ნება ოსმალეთის ურდოებს ავეოხრებინეთ“.

ამის შესახებ მე ჩემ მოხსენებაში ვთქვი, რომ გერმანიის პროტექტორატმა ჩვენ გადაგვარჩინა ოსმალეთის ურდოებისაგან. ისე, რომ აქ დადებითი მხარე იყო. ეს თავის-თავად ცხადია.

შეკითხვა: „მე-12 ყრილობამ სთქვა, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რუსეთის დიდმპყრობელობასო. რაში გამოიხატება ეს ბრძოლა“.

ამაზედაც იყო ლაპარაკი მოხსენებაში. მე ვთქვი, რაში გამოიხატება ეს ბრძოლა და რა ფორმებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

შეკითხვა: „რამ აიძულა საქართველოს მთავრობა, რომ გერმანიის ჯარი მოიწვია, ვისარგებლეთ ამით თუ არა“.

ამაზედაც იყო ნათქვამი ჩემ მოხსენებაში.

შეკითხვა: „პროლეტარიატს ეჭირვება სამშობლო, თუ არა, როდესაც ის ქარხანაში მუშაობს“.

ჩემს მოხსენებაში მე ვსთქვი, რომ, შეიძლება, ვინმემ სთქვას, რომ, როცა პროლეტარიატის დიქტატურა არის, საბჭოთა ხელისუფლება არის, რა საჭიროა ეროვნული სახელმწიფო. მაგრამ, მე ვთქვი, აგრეთვე, რომ საერთო ინტერნაციონალის ოჯახში შევალთ მხოლოდ ჩვენი ეროვნული კულტურით. ამიტომ საჭიროა მუშა სწავლობდეს და თვითცნობიერდებოდეს თავის ენაზე და იმ კულტურისა და ეროვნული პირობების მიხედვით, რომელშიდაც მას უხდება ცხოვრება:

შეკითხვა: „მომხსენებელმა განაცხადა—დემოკრატიული წყობილება წინააღმდეგი იყო ოსეთის [illegible] აჭარის ავტონომიებისაო.“ გეკითხებით, სამართლიანობა მოითხოვდა, თუ არა, რომ ყოველ კუთხეს, ყოველ სოფელს, მოეთხოვა ავტონომია,-და-მისცემოდა მას ეს.

ამხანაგებო, შესაძლებელია, რომ მეორე შეკითხვა შემოვიდეს- და ამიტომ მე გიპასუხებთ, რომ სრულიად არაა სა[illegible] რომ ყ[illegible]ლ სოფელს ქონდეს [illegible]მოუკიდებელი რესპუბლიკა, მაგრამ საქართველოში არის სხვა და სხვა ეროვნება, რომელთაც აქვთ თავისი ტერიტორია, ამ ტერიტორიაზე ჰყავთ მცხოვრებნი, რომელთაც აქვთ პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებანი, და მოითხოვენ ავტონომიას და თუ პოლიტიკური ინტერესები არ ეწინააღმდეგება ამას, ჩვენ არ უნდა ვიყოთ ამის წინააღმდეგი.

შეკითხვაა—მთლიან მუშათა კოოპერატივში რამდენი პროცენტია ქართველობა და მეორე—საქართველოს უმუშევართა ბიუროში რამდენია ქართველობა, მე არ ვიცი ამხანაგებო, კერძოთ ამა თუ იმ დაწესებულებაში რამდენია ქართველობა, და რამდენი სხვა, შეიძლება მთლიან მუშათა კოოპერატივში მეტი იყოს სხვა, ნაკლები იყოს ქართველობა, მაგრამ შეიძლება მეორე დაწესებულებაში წინააღმდეგი. ეს სხვა საკითხია. მაგრამ თუ აქვს ადგილი ასეთ დევნას ქართველ ელემენტებისას სხვადასხვა დაწესებულებებში, ეს ფაქტი უარყოფითია და ასეთ მოვლენას უნდა ვებრძოლოთ. მე არ მაქვს ცნობები მთლიან მუშათა კოოპერატივში რამდენია ქართველი და რამდენი სომეხი. ეხლა გადავიდეთ უმუშევართა ბიუროზე. მე არ შემიძლია ციფრებით მოვიყვანო, მაგრამ გეტყვით, რომ უმუშევრებში ქართველები ნაკლები პროცენტია. მეტის მეტად კი უკანასკნელ შემოკლების დროს, როდესაც დაწესებულებებში რჩებოდენ ისინი, ვინც ქართული ენა იცოდა და შეეძლო სახელმწიფო ენაზე ეწარმოებინა მუშაობა, ისინი რჩებოდენ და სამსახურიდან ითხოვდენ იმათ, ვინც არ იცოდა ქართული ენა. ამიტომ მე ვამბობ, რომ ტყუილია ის აზრი, რომ ვითომ ქართველებს ერეკებოდენ დაწესებულებებიდან. ტყუილია ეს ამხანაგებო, თუ ასეთ ხმებს ავრცელებს ვინმე, ის ალბად მუშათა კლასისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებია.

— „ქონდა თუ არა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ცეკას კავშირი ჩოლოყაშვილთან და ქონდა თუ არა ადგილი სოციალ-დემოკრატიის პარტიის წევრების დახვრეტას“.

(ხმა პრეზიდიუმიდან: ეს მოხსენებას არ ეხება) ამხანაგებო, რაც შეეხება გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, რომელიც ამას წინათ იყო—იქ არის ნათქვამი, რომ ზოგიერთ მენშევიკებს ჰქონიათ კავშირი ჩოლოყაშვილის ბანდებთან, დასახელებული იყო გვარები: კრაწაშვილი და სხვები. ამას ამბობდენ დაჭერილი დოკუმენტები. გარდა ამისა, ამხანაგებო, ამ რამდენიმე თვის წინათ დაჭერილი იყო ჩოლოყაშვილის ბანდიტი ვინმე ფავლენიშვილი. მის დოკუმენტებში იყო მიწერ-მოწერა ჩოლოყაშვილთან, ეწერა, რომ აქედან წასული მთავრობა ჩვენ გვიგზავნის ფულს იარაღს და სხვ. გარდა ამისა იყო მოხსენებული პარიტეტული კომიტეტი და სამხედრო ცენტრი—ის გვ.წევს დახმარებასო. აქედან ცხადია, შეიძლება ცეკას პირდაპირი კავშირი არ ქონდა, მაგრამ ზოგიერთ მენშევიკებს ყოველ შემთხვევაში ჰქონდა კავშირი ბანდებთან. აგრეთვე მტკიცდება იმ დოკუმენტებიდან ერთგვარი კავშირი ქონია სახლვარ-გარეთთან ჩოლოყაშვილის ბანდას. პრინციპიალურად, რომ შევხედოთ, მე რომ დღეს მტრულათ განწყობილი ვიყო საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, წინააღმდეგი ვიყო მისი, მინდოდეს მისი დამარცხება, თავის თავად ცხადია ყოველივე ჩემი სიმპატია იქნება ამ ბანდებისაკენ. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ თვითმპყრობელობის დროს ვამბობდით, რამდენიც მეტი იქნება აჯანყება, ბანდები, გამოსვლები, ეს მით ადრე მოუღებს ბოლოს თვითმპყრობელობას. მე რომ ვიდგე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პლატფორმაზე, მაშინ მე ვიტყოდი: რამდენად მეტი იქნება ბანდები და მათი გამოსვლა, მით უფრო უკეთესია.

შემდეგ ქონდა თუ არა ადგილი სოციალ-დემოკრატების დახვრეტას. აქ მხედველობაში აქვსთ ამხანაგებს გურიის ამბები, 92 კაცი რომ დახვრიტეს. თქვენ იცით ამხანაგებო, თუ რა პირობებში მოხდა ეს. ერთმა ყოფილმა მენშევიკმა, რომელიც წინეთ კომუნისტი იყო მოაწყო ბანდები მთავრობის წინააღმდეგ და მის რაზმში იყო 90 კაცი. ეს რაზმი აწყობდა გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეცემოდა კერძო პირებს და სხვ.

თავმჯდომარე: გთხოვთ მოხსენების ირგვლივ ილაპარაკოთ ეს არ ეხება მოხსენებას.

რუხაძე: მე ვიტყვი, შეიძლება ქონდა ადგილი დახვრეტას ისეთი პირისას, რომელსაც არ დაუმსახურებია ასეთი სასჯელი, მაგრამ როდესაც გაჩაღებული ბრძოლაა და ტერორს ნიშნავენ, შეიძლება ამ შემთხვევაში შეცდომებს ქონდეს ადგილი. მაგრამ მე საერთო ხაზზე მოგახსენებთ. ამის შესახებ გვექნება ცალკე მოხსენება.

— „როდის გავა რუსეთის არმია საქართველოდან“,—ამის შესახებ იყო ლაპარაკი.

— „რა ქნას იმ უსწავლელმა გლეხმა, რომელიც საბჭოთა დაწესებულებაში მიდის, რუსული არ იცის და თავისი ენაზე კი არავინ ელაპარაკება. ვალდებულია თუ არა ეს უსწავლელი გლეხი ეძიოს თავისთვის მთარგმნელი“.

რასაკვირველია თვითონ არ არის ვალდებული ეძიოს თარჯიმანი. რასაკვირველია საჭიროა დაწესებულებაში იყოს სახელმწიფო ენა და როდესაც გლეხი მოდის მან თავის ენაზე უნდა მოისმინოს პასუხი. და თუ ზოგიერთ დაწესებულებაში ეს არ არის გატარებული ცხოვრებაში, მე ვამბობ უნდა გატარდეს და ამის გატარება შეიძლება მაშინ, როდესაც თვითონ მოვინდომებთ და ჩავებმებით საბჭოთა აღმშენებლობაში.

თავმჯდომარე: ამხანაგებო, შეკითხვები მორჩა, ეხლა გადავალთ არსებით კამათზე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ტურას.

დელეგატი. (ადგილიდან) ჯერ უნდა გამოგვეცხადებიათ; რომ კამათი გახსნილი იყო, რომ ორატორებს შეეძლიათ ჩაეწერონ.

თავმჯდომარე: ამხანაგებო, მე როდესაც ორატორს ვაძლევ სიტყვას, ალბად ის ჩაწერილია. გთხოვთ ნუ გვასწავლით, როგორ ვაწარმოოთ კრება. მე 15 ორატორი მყავს ჩაწერილი და ზედმეტად მიმაჩნია, რომ კიდევ გამოაცხადოთ ვის სურს ჩაეწეროს. როცა ორატორები გამოვლენ და დაიწყებენ ლაპარაკს, მე მგონია რომ ყველასათვის ცხადი იქნება, რომ კამათი გახსნილია. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ტურას.

მაისურაძე (ტურა): ამხანაგებო, თქვენს წინაშე დგას ერთი დიდი მთავარი საკითხი, რომელსაც ეწოდება ეროვნლი საკითხი.

რა თქმა უნდა, როგორც სთქვა მომხსენებელმა, თურმე მე-12 ყრილობამ კარგად გადაჭრა ეს საკითხი, მაგრამ მე სამწუხაროდ არ ვარ გაცნობილი, იქნებ მართლაც ძალიან სასურველად იყოს გადაჭრილი. მანამ კი, როგორც ალღო აღებული მაქვს, ეს საკითხი მთელ საქართველოში ყველას აწუხებს და აინტერესებს კიდევაც. რა თქმა უნდა მომხსენებელმა ძალიან ბევრი სთქვა, ჩემი ლაპარაკი მეტია, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ როგორც მარქსის სიტყვებია: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერდითო. მე ეხლა წინასწარ ვიტყვი, რომ ეს სიტყვები მე არ მეკუთვნის, ამ სიტყვებს მე არ მივითვისებ, ერთხელ მოხუცმა ნესტორ ცერცვაძემ პარტიულ ყრილობაზე სთქვა ეს: „მარქსმა კი სთქვა პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო, მაგრამ მარქსს ის კი არ უთქვამს, რომ ყველა ქვეყნის ბლენცებო ტფილისში მოიყარეთ თავიო“. ეს თქვა ცერცვაძემ. მაშასადამე, ამ საკითხს შეუწუხებია არამც თუ მარტო მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები, არამედ თვით კომუნისტები. რომ უთუოდ იყოს ნამდვილად გამორკვეული, მე რომ მქონდეს წაკითხული მეთორმეტე ყრილობის დადგენილება, მაშინ შეიძლება არც კი გამოვსულიყავი აქ.

რაც შეეხება ჯარების საკითხს—ეს აწუხებს მთელ საქართველოს მცხოვრებლებს. დღემდის უკვე აწუხებდა იმიტომ, რომ ჩვენ და მათ შორის უფრო მტრული განწყობილება იყო. წეღან მომხსენებელმა სთქვა, რომ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის წითელ ჯარს ჩვენი ცხოვრების მიმართ. მე ამას არ ვიტყვი. მე არც ვარ დარიგებული წინდაწინ, როგორც მურმანოვი და არც ვინმეს გალიზიანება მსურს. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ თუ ქონდა შეცდომები სახალხო გვარდიას, ეს იმიტომ, რომ მათში ერია არა სოციალისტები. აგრეთვე მე ვიტყვი წითელ არმიელების შესახებ, ისინიც არ არიან ყველა კომუნისტები. ისინი იყვნენ ჩვენ სოფლებში და ძალიან ბევრი ნაკლი აქვთ მათაც, მე არ ვლაპარაკობ, რომ მათ ან კომანდირი ეტყოდა ან მთავრობა, რომ გლეხკაცობის ბეღელი გატეხეთ და სიმინდი და ფქვილი წაართვი, ქერი ცხენებს დაუყარეთ. მაგრამ ეს როგორც ჯარის კაცს სჩვევია საერთო ფრონტზე—ხდება ასეთი შემთხვევა ხოლმე. ეს სხვათაშორის. რაც შეეხება იმას გავიდეს ჯარი თუ არ გავიდესო, უნდა ვსთქვა, რომ ნეტაი იმ წუთს, როდესაც ჩადგება კალაპოტში ცხოვრება, არამც თუ რუსეთის ძალა ჩვენ არ დაგვჭირდება, მაგრამ მანამ არსებობს ასეთი მტრული განწყობილება მოსაზღვრეებში, ცხადია, არსებული მთავრობა ყოველგვარ ძალას მოიხმარს, თუ თავისი იარაღი და ძალა არ ყოფნის,—სხვისას შემოიყვანს. მაგრამ ვუსურვოთ ჩვენ ხალხს, მალე ერთსულოვნობა გამოიჩინოს და შექმნას თავისი საკუთარი ადგილობრივი ჯარი. და ამის შემდეგ აღარ დაგვჭირდება უცხო ძალებისთვის მიმართვა. ამით გავათავებ ჩემ სიტყვას. ვთქვი, რაც გულში მქონდა. გვარდიის საქმეს არ შევეხები, ამაზე მომავალში გვექნება ლაპარაკი.

ამხ. გ. კვიცარიძის სიტყვის შემდეგ, რომელიც უკვე მოთავსებული იყო გაზეთში. სხდომა დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

აუცილებლათ უნდა გამოსწორდეს

(თამბაქოს ტრესტის საყურადღებოდ).

ამხ. როზა ლუქსენბურგის სახელობის თამბაქოს ქარხნის ორ განყოფილებაში: თამბაქოს დამხარისხებელში და სატენში საჭირო იყო ვენტილიატორების მოწყობა, მაგრამ მათ მაგიერ შემოიღეს მუშებისთვის თითო კრუჟკა რძის დარიგება. მუშების ჯანმრთელობაზე ასეთი ზრუნვა დიდად სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ განყოფილებაში ვენტილიატორი მაინც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბინის დიდი დამტვერიანების გამო. ამავე დროს, ალსანიშნავია ისიც, რომ ეს რძე ეძლევა მხოლოდ ამ განყოფილების მუშებს, თუმცა არც სხვა განყოფილებები იმყოფებიან ისეთ პირობებში, რომ იქ მუშაობა მავნე არ იყოს მუშებისათვის. ამიტომ რომ სამართლიანობა დაცულ იქნეს საჭიროა, ჩემის აზრით, მოხდეს მუშების მედიკური შემოწმება, რის შემდეგ რძე უნდა ურიგდებოდეს ყველას, ვისაც კი ნამდვილად სჭირდება და არა მხოლოდ აღნიშნულ ორ განყოფილების მუშებს, სადაც რძეს ღებულობს ის, ვინც ნამდვილად საჭიროებს ამ პროდუქტს და ის, ვინც სრულებით ჯანსაღია.

აღნიშნული გარემოება იწვევს ერთგვარ მითქმა-მოთქმას მუშებში, რის გამო საჭიროა ამ საკითხის დაჩქარებით მოგვარება.

თამბაქოს მუშა ბახში.

უმუშევრებმაც შეაქვთ თავისი წვლილი

საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

ა. წ. 25 აგვისტოს შესდგა ყოფილი საბჭოთა მოსამსახურეების უმუშევართა სასადილოში საზოგადო კრება ამხ. ივანოვის თავმჯდომარეობით, რომელზედაც ამხ. ივანოვმა გააკეთა მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ და მოუწოდა კრებას, რომ უმუშევრებმაც შეიტანონ თავიანთი წვლილი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ. წინადადება იყო შემოტანილი, რომ ერთი დღის სადილის საფასური გადაედოთ ფლოტის სასარგებლოდ. კრებამ წინადადება ერთხმად მიიღო და დაადგინა, რომ ერთ დღეს არ ისადილონ და ამ სადილის ფული გადასდონ ფლოტის სასარგებლოდ რაც უდრის ას მილიონ მანეთს. ეს დადგენილება უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი და ფული გადაეცა დანიშნულებისამებრ.

მუშკორი მკერვალი ნიკო.

მისაბაძი მაგალითი

სახალხო განათლების კომისარიატის კინო სექციამ მეორე რაიონის კინო „ვარსკლავი“ დაკეტა, ვითომ და იმ მოსაზრებით, რომ ხსენებული კინოს ხარჯებს შემოსავალი არ ფარავდა. ამგვარათ უმუშევართა რიცხვი იზრდებოდა, რაც შიმშილს უქადის უმუშევართა ოჯახობას. მაგრამ ზემოხსენებულ კინოს მუშა-მოსამსახურეებმა მოიკრიფეს ძალღონე და მოინდომეს ხსენებულ კინოს თავის ხარჯზედ გაღება. ამის გამო მიმდინარე წლის 28 აგვისტოს ჩვენმა მუშებმა მოიყარეს თავი მეორე რაიონის კინო-თეატრების რაიკომის ბინაზე, სადაც აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს დაარსდეს მშრომელთა „კოლექტივი“, რომელმაც უნდა მიიღოს თავის თავზე კინო „ვარსკლავი“-ს ხელმეორედ გახსნა.

საერთო კრების დადგენილების ოქმით დამტკიცებულ იქნა რაიკომის მიერ და მეორე დღესვე ოქმი წარედგინა „კინო სექციის“ კოლეგიას. ამხ. გოგიტიძე, (სექციის გამგე) თანაგრძნობით შეხვდა მუშა-მოსამსახურეთა კანონიერ მოთხოვნილებას—და მის დახმარებით იქნა გადაცემული ხსენებული კინო—მუშა-მოსამსახურეთა ხელში. ამგვარად 1-ელ სექტემბერს განახლდა ზემოხსენებულ კინო-თეატრის მუშაობა. თვით მუშები დიდი სიყვარულით და ენერგიით ეკიდებიან საერთო საქმეს თავიანთ ამხანაგთა საკეთილდღეოდ. ისინი უსურვებენ სხვა უმუშევარ ამხანაგებს, თვითონვე დაარსონ საერთო მშრომელთა არტელები, რითი ხელი შეუწყონ მუშურ-გლეხურ მთავრობას საბჭოთა მეურნეობის აღდგენა-აღორძინებაში და უმუშევართა რიცხვიც შეამცირონ შეძლებისდაგვარად.

გაუმარჯოს თვითმშრომელთა არტელებს მათ ხელმძღვანელებს!

მუშკორი გ. მ-შვილი.

მუშათა ცენტრ. კლუბში

2 სექტემბერს ხსენებულ კლუბში გაიმართა საერთაშორისო კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობის დღის აღსანიშნავი მიტინგი—სპექტაკლი, რომელსაც მუშები ბლომად დაესწრენ.

მიტინგი გაიხსნა „ინტერნაციონალი“-ს სიმღერით, რის შემდეგ მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვით, საერთაშორისო კომუნისტურ ახალგაზრდობის შესახებ, საზოგადოებას მიმართა კლუბის გამგემ ამხ. ლაზარევმა. მან უმთავრესად აღნიშნა ახალგაზრდობის მოძრაობის მნიშვნელობა საერთაშორისო პროლეტარიატის საკეთილდღეოდ. მასთან მომხსენებელმა უსურვა ახალგაზრდობას ზრდა-განვითარება, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გამარჯვება და უფრო მედგრად წინსვლა მომავალშიც, პროლეტარიატის და საერთოდ მშრომელთა დიქტატურის დასამყარებლად.

ამხ. ლაზარევის სიტყვის შემდეგ, პროფკავშირთა გუნდის მიერ ამხ. კალანდაძის ხელმძღვანელობით შესრულებული იქნა სხვადასხვა რუსულ-ქართული სიმღერები, რითაც ჩვენი მუშები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ.

ბოლოს, ამავე კლუბის დრამატიულმა წრემ, წარმოადგინა პატარა 3 სურათიანი პიესა, „ენრიკო“, იტალიის კომუნისტური ახალგაზრდობის ფაშისტებთან ბრძოლის დროიდგან. მოთამაშეებმა თავისი როლები კარგად შეასრულეს. დამსწრე საზოგადოება მადლიერი და კმაყოფილი დაიშალა.

მუშკორი ველი.

მისაბაძი მაგალითი

ა. წ. 31 აგვისტოს საქართველოს მ.-გლეხთა ინსპექციის შენობაში შესდგა ამიერ-კავკ., საქართველოს და რკინისგზების მ.-გლეხთა ინსპექციების და მთლიან სამხედრო კოოპერატივის თანამშრომელთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი ოქროს მომგებიან სესხის შესახებ. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. გ. საყვარელიძე. კრებაზე მოხსენება გააკეთა ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენელ ამხ. იუხნევიჩმა. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ოქროს მომგებიან სესხს სახელმწიფოს ფინანსიურ მხარის მოგვარების საქმეში. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ობლიგაციის შეძენით მუშა-მოსამსახურენი იგებენ მით, რომ ობლიგაცია არ კარგავს თავის ფასს, არამედ ვალიუტის კურსის აწევით მისი ფასიც იმატებს და ყოველ დროს შესაძლებელია მისი გადახურდავება ოქროს კურსის მიხედვით. ამის შემდეგ მან მოუწოდა თანამშრომლებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ოქროს მომგებიან სესხის ობლიგაციების გავრცელებაში.

მოხსენების შემდეგ ამხ. კლდიაშვილს შემოაქვს წინადადება, რომ მ.-გლ. ინსპექციის თანამშრომლებმა, ინსპექტორიდან დაწყებული, შეიძინონ თითო ობლიგაცია (5 მანეთიანი) და ტეხნიკურ მომუშავეებმა კი, კოლლექტიურად,—1 ობლიგაცია 5 თანამშრომელმა.

წინადადება მიღებულ იქნა.

საჭიროა ყველა ფაბრიკა ქარხნებში ჩვენი მუშებიც გამოეხმაურონ ამ საკითხს და შეიძინონ ობლიგაციები.

აქვე არ შემიძლია არ ავღნიშნო ერთი არა ნორმალური მოვლენა: კრებას დაესწრო არა უმეტეს 40 კაცისა, რაც შეადგენს ერთ მესამედს იმისა, რაც უნდა ყოფილიყო. ბევრმა თანამშრომელმა კრების შესახებ გაიგეს მხოლოდ მეორე დღეს. ალბად ამაში ბრალი მიუძღვის ადგილკომს.

მუშკორი გარეშე.

მუშათა ქრონიკა

— **მისაბაძი მაგალითი.** საბჭოთა მუშაკების მე 2 რაიადგილკომმა თავის რაიონში, სხვა და სხვა ალაგის გამართა ლექციები, რომლებშიაც მუშებს გააცნო და აუხსნა შრომის კანონთა კოდექსი, რითაც მუშები ძლიერ მადლიერი დარჩნენ.

მის თანახმად, ამხ. ნარიმანოვის სახელობის თურქულ პოლიტექნიკუმში 4 განყოფილება იქნება: ელექტრო-ტეხნიკური, ბურღვის საქმისა, სამშენებლო და ეკონომიური. სწავლის კურსი ხუთწლიანია. ტეხნიკუმთან არსებობს მუშათა განყოფილება საღამოს მეცადინეობით ტეხნიკუმის სრული პროგრამით და იმავე განყოფილებებით.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის ბორჯომის რაიკომის მუშაობა ივლისში.

ორგანიზაციული მუშაობა. ორგანიზაციაში შედის 227 წევრი, რომლებიც მოთავსებულნი არიან 16 უჯრედში. უჯრედების ხელმძღვანელთა შემადგენლობა კარგია. ერთიანი კავშირის დღე, მუშურ უჯრედებისათვის შაბათი და სოფლებისა—კვირა, ტარდება. რაიონის ინსტრუქტორები ხშირად დადიან ადგილებზე და ეცნობიან რა იქაურ მუშაობას, ამყარებენ მტკიცე კავშირს რაიკომსა და უჯრედებს შორის. 15 ივლისს შესდგა უჯრედების მდივნების თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა მომავლისათვის მუშაობის გეგმა და საერთოდ გამოარკვია ის უახლოესი ამოცანები, რომელთა მიღწევა განსაკუთრებით ხელს შეუწყობენ რაიონში მუშაობის გაძლიერებას და გაღრმავებას. საერთოდ ზაფხულში მუშაობა სრული ტემპით მიმდინარეობდა.

საგიტ.-საპროპაგანდო მუშაობა. ამ მხრივ მეტათ აღსანიშნავია საშეფო მუშაობის გაღრმავება, რასაც ნაწილობრივ ხელი შეეწყო თვით ზაფხულმა. შუშის ქარხნის უჯრედი არის კულტშეფი სოფ. კორტანეთის და დეპოს უჯრედი დაბა ტბისისა. ქ. ბორჯომის უჯრედმა მიიღო შეფობა სოფ. ზანავზე, ამასთან ტყის კამპანიის ჩატარების შემდეგ სათანადო უჯრედებმა მიიღეს შეფობა ტყეებზე. ზოგ უჯრედებმა გახსნეს ახალგაზრდათა ბალი. ეწყობა ექსკურსია და მოგონებები. დაარსდა სპორტიული წრე ჯერ ჯერობით წაღვერში, სადაც მუშაობა კარგათ მიმდინარეობს. მიღებულია ზომები ასეთი წრეების სხვა პუნქტებში მოსაწყობათ.

ცეკადან მივიღეთ შემდეგი ლიტერატურა: გაზეთი „სპარტაკი“ ქართულ ენაზე - 100 ცალი, რუსულზე 50 ცალი, ჟურ. „მომავალი“ 50 ცალი და სხვადასხვა წიგნები 50 ცალი. საბავშვო სახლის გახსნაში კომკავშირმა მიიღო აქტიური მონაწილეობა. ბავშვებს გადაეცა დროშა, უჯრედებში ჩატარდა კამპანია საჰაერო ფლოტის შესახებ. შუშის ქარხნისა და დეპოს უჯრედებს აქვს სხვადასხვა კულტურულ განმანათლებელი წრეები. ბორჯომის უჯრედი აწარმოებს მუშაობას კომუნისტური აღზრდის სახლში-ყოფილ ეკლესიაში. ძლიერია ლტოლვა ახალგაზრდობისა კომკავშირისაკენ, მაგრამ კავშირში ახალ წევრთა მიღება ხდება დიდი შერჩევით და დაკვირვებით.

ბორჯომის ქარხანაში მომუშავე კავშირის წევრები უფროს მუშებთან ერთად დასასვენებლად იმყოფებიან ვორონცოვის პლატოზე. **ი.**

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(5 სექტემბერი).

ჩერვონცები — — —	47,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	46,100
ჩეკები —	44,500
დოლარები ეფექტ. —	10,000
„ ჩეკები —	9,300
ოსმ. ქალ. ლირა	6.525
საბჭ. ფულის ნიშნები	21

მუშკოპის ფასები.

(5 სექტემბერი).

პური გირ.—180 და 300, ნატეხი შაქარი—2740, ფხვნილი შაქარი—2095, ძროხის ხორცი—850, ბრინჯი—605, კარტოფილი—80, პამიდორი—75.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(5 სექტემბერი.)

პური 1 ხარ.—400-450, პური 2 ხარ.—200—250. ნატეხი შაქარი—2,900, ფხვნილი შაქარი—2,400, ძროხის ხორცი—800, ცხვრის ხორცი—1100—1200, კარტოფილი—100, კომბოსტო—200.

ბირჟის მიწოდება.

(5 სექტემბერი).

რ. ს. ფ. ს. რ. პურის პროდუქტები. საპონი „მამალი“. ცემენტი. გაზისა და წყალსადენის მილები. ნახიჩევანის ქვა-მარილი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(5 სექტემბერი).

ცეილონის ჩაი. ყავა. ჰიმური ფანჯრები. სვეტები. ნარმა. კალა. ნედლი ტყავები. ჭერი. მზესუმზირას ზეთი.

ბირჟის გარიგებანი.

(5 სექტემბერს).

ახალქალაქის მატყლი—18 ჩერვ. მან. კურსი.

პორტლანდის ცემენტი—13 მან. 50 კ. (ჩერვ) ბოჭკა.

გამომწვარი აგურები 1 ხარ.—75 ჩერვ. კაპ. ფუთი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბლისა, პურის პროდუქტებისა და შაქრის ბაზარზე მცირე მოთხოვნილებაა. დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(5 სექტემბერს.)

განწყობილება ხასიათდება გაძლიერებული მოთხოვნილებით ჩერვონცებზე. ყველა ვალიუტაზე მოთხოვნილება აღემატება მიწოდებას.

გარიგებანი ბირჟის გარეშე.

4 სექტემბერს ბირჟის გარეშე დადებულ იქნა 17 ხელშეკრულება 65286 მან. 15 კ. (ჩერვ.) თანხისა.

ქრონიკა

— **ხიდების შეკეთება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ სენაკის მაზრაში ხიდების შესაკეთებლათ გადასდო 3.500,000,000 მან.

— **საშა წულუკიძის მშობლების უზრუნველყოფა.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს, რათა ამხ. საშა წულუკიძის მშობლებს დაენიშნოს მუდმივი დახმარება მე-17 სატარიფო ცხრილის მიხედვით.

— **ინვალიდების არტელის შესახებ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს ინვალიდების (ომში დასახიჩრებულთა) არტელი ბეგარისაგან, ხოლო ამ საქმის მოსაგვარებლად შესდგეს კომისია ამხ. ერქომაიშვილის ვარძიელის და ცანცაძის შემადგენლობით.

— **საცხოვრებელ ბინების პროექტი.** საცხოვრებელ ბინების პროექტის გამოსამუშავებლათ შესდგა კომისია ამხ. ელენტის, მიქაძის, მოდებაძის, ყურულაშვილის და სალარიძის შემადგენლობით.

— **სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსება.** საქ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნო დაარსოს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ბანკი და მოახდინოს სახალხო ბანკის სრული გადახალისება.

— **დახმარება ამხ. დგებუაძის მშობლებს.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით დაღუპულ ამხ. დგებუაძის მშობლებს დაენიშნა მუდმივი დახმარება მე-10 სატარიფო ცხრილის მიხედვით.

— **კინო-თეატრების დაბეგვრა.** საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით ყველა-კინო თეატრები დაიბეგრა შემოსავალზე 15 პროცენტით, რომელიც განაწილებული იქნება შემდეგნაირათ: 10 პროც. ქალაქის აღმასკომს, 3 პროც. წითელ ჯვარს, ხოლო 2 პროც. შიმშილობის შედეგებთან მიმართულ კომიტეტს.

— **საქმის წარმოების განმარტივება.** შრომის კომისარიატმა დაადგინა განმარტივებული იქნეს შრომის ინსპექტორების საქმის წარმოება და ანგარიშები.

— **არტელებში მომუშავეთა შესახებ.** შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა მოახდინოს გამორკვევა იმ მუშათა შრომის პირობების, რომელნიც მუშაობენ არტელებში, მოიჯარადრეებთან და სხ.

— **პროვინციის საწარმოო დაწესებულებათა დათვალიერება.** ვინაიდან პროვინციაში არ არსებობს სანიტარული ინსპექცია, შრომის დაცვის ინსპექციას დაევალა მოახდინოს პროვინციის საწარმოო და სამეურნეო დაწესებულებათა დათვალიერება.

— **ხელახალი რეგისტრაცია.** შრომის ბირჟას განზრახული აქვს მოახდინოს უმუშევართა ხელ ახალი რეგისტრაცია, იმ მიზნით, რომ ბირჟა განიტვირთოს გარეშე ელემენტებისაგან.

— **თამბაქოს ქარხნის გატეხვა.** მე-10-ე სამილიციო რაიონში დილის 4-5 საათზე გატეხეს თამბაქოს ქარხანა „ფენიქსი“, საიდანაც ბოროტმოქმედებს წაუღიათ ნახევარი მილიარდის პაპიროსები.

— **პროპაგანდა სოციალურ დაზღვევის შესახებ.** რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველომ წინადადება მისცა დამზღვევ კასებს დაიწყონ ფართე პროპაგანდა-აგიტაცია სოც. დაზღვევის საკითხების შესახებ.

— **დახმარება და პენსიების ახალი ნორმები.** საქ სოც. დაზღვევის სამმართველომ შეიმუშავა დაზღვეულთათვის დახმარების და პენსიების ახალი ნორმები.

— **სახლი დეფექტიან ბავშვებისათვის.** ქალ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა ფითოევისეული აგარაკი კოჯორში გადაეცეს განათლების სახ. კომისარიატს დეფექტიან ბავშვთათვის სახლის გასახსნელათ.

— **მტკვრის ნაპირებზე ნაგავის ჩასაყრელათ ხის ღარების მოწყობა.** ქალაქის სისუფთავის დაცვის მიზნით ტფ. ქალ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა უძრავ ქონებათა სამმართველოს სასწრაფოდ მოაწყოს მტკვრის ნაპირებზე მდინარეში ნაგავის ჩასაყრელათ ხის ღარები.

— **ზანგეზურის და ქუბათლინის მაზრების სადაო საკითხების გადაჭრა.** ზანგეზურის და ქუბათლინის მაზრების სადაო საკითხის გადასაჭრელათ, ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს სპეციალური კომისია ორივე მაზრების წარმომადგენელთა თანადასწრებით.

— **შაქარი ა. კავკასიისათვის** ა. კ. ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა ჰოლანდიაში შეისყიდა ა. კავკასიისთვის 20,000 ფ. შაქარი.

— **ამხანაგობა „აბრეშუმი“.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა თავის წარმომადგენელი ამხ. ელერ-იტალიაში, იტალიის ამხ. „აბრეშუმი“ ა. კ. „აბრეშუმში“ მონაწილეობის მისაღებათ და ურთიერთობის დასამყარებლათ.

— **აფხაზეთის კომკავშირის ყრილობა.** აფხაზეთის საოლქო კომიტეტი 15 სექტემბერს იწვევს აფხაზეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობას.

— **„ვეჩერნიე ზარის“ მუშა-მოსამსახურეების საქმე.** 1 სექტემბერს შრომის სასამართლომ გაარჩია „ვეჩერნიე ზარის“ მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციის შორის მომხდარი უთანხმოება და დაადგინა „ვეჩერნიე ზარის“ ადმინისტრაციას გადახდეს მუშების სასარგებლოთ 377 მ. 54 კაპ. საქონლის მანეთის კურსით.

— **სახლის პატრონის და მეეზოვის საქმე** შრომის სასამართლომ 1 სექტემბერს დაადგინა: სახლის პატრონს მარიამ იაგუბიანმა მეეზოვის სერაფიონ ბაგდასაროვის სასარგებლოდ გადახდეს 79.325.000 მან. დღის კურსის მიხედვით. მაისიდან დღემდე ჯამაგირის ანგარიშში.

— **შრომის ბირჟა.** 4 სექტემბერს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 502 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა—40. ახლად ჩაწერა არ მომხდარა.

— **სამკურნალო დახმარება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა ტფილისის მაზრაში მოაწყოს ფართე სამკურნალო დახმარება.

— **მუდმივი ექიმი—ჩათახში.** ჯანმრთელობის კომისარიატის დადგენილებით საექიმო დახმარების მიზნით ჩათახში დაინიშნა მუდმივი ექიმი.

— **ქინაქინის მიღება მოსკოვიდან.** სოც. დაზღვევის სამმართველომ მოსკოვიდან მიიღო 78 კილოგრამი ქინაქინი, რომელიც განაწილებული იქნება რესპუბლიკის საექიმო პუნქტებს შორის.

— **ახალი აგრონომები.** 1923 წ. საგაზაფხულო სესიაში დაამთავრა კურსი ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სასოფლო მეურნეობის ფაკულტეტის შემდეგმა სტუდენტებმა:
1. დანელია პლატონ გრიგოლის ძე,
2. მშვენიერაძე ნიკოლოზ ივანეს ძე,
3. ავალიანი შალვა ვიქტორის ძე,
4. მამაცაშვილი დიმიტრი ანდრიას ძე,
5. ფაჩუაშვილი მიხეილ მიხეილის ძე,
6. შანიძე კონსტანტინე, 7. ბელოუსოვ სერგო ნიკოლოზის ძე, 8. მაჭავარიანი ნინა ალექსანდრეს ასული, 9. ხრაპკო პეტრე, 10 კონდახჩიან რუსია.

ხელოვნება.

— **ქუთაისის თეატრი.** უკვე შესდგა ქუთაისის დრამატიული დასი, რომლის ხელმძღვანელათ მიწვეულნი არიან ვალერიან გუნია, იუზა ზარდალიშვილი. სეზონი გაიხსნება 1 ოქტომბერს ალ. შანშიაშვილის პიესით: „ბერდო ზმანია“.

— **მოქ. იაკობ ნიკოლაძის ატელიე.** საქართ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ატელიეს მოსაწყობათ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა—2,199 მან. და 43 კაპ. ოქროთი.

— **კომპოზიტორ ვ. დოლიძის გაგზავნა.** საქ სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ახალგაზრდა კომპოზიტორი ვიქ. დოლიძე მუსიკალურ უმაღლეს სწავლის მისაღებათ იგზავნება მოსკოვში მთავრობის ხარჯზე.

რა ხდება მუხროვანის გლაუბერის მარილის სარეწავში

გასული წლის 15 დეკემბრიდან სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიანდო ინჟინერებს მარკუსს და მალამას მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხნის მოწყობა-გახსნა.

ბ. მარკუსი ითვლება მმართველად, რომელიც თვეში მხოლოდ ერთხელ ათვალიერებს ხოლმე ქარხანას. მისი თანაშემწე მალამას მაგივრათ დანიშნული ნემსაძე კი მუშა-მოსამსახურეთა დატუქსვა და ლანძღვა-გინებას უნდება. ნემსაძეს მინდობილი აქვს ორმოების ამოთხრა და მარილის ალმოჩქნა. ამ საქმისათვის მის განკარგულებაში არის სულ 10 კაცი.

23 მარტიდან სამეურნეო ნაწილის გამგეთ საბჭომ ალექსანდრე კვალიაშვილი დანიშნა. მას აქაური საწყობი დანგრეულ-აოხრებული დახვდა. ის შეუდგა ბეჯითად მუშაობას; ყოველივე მოაწესრიგა და ფეხზე დააყენა, მაგრამ ბ. ნემსაძის აღვირახსნილი მოქმედება მას მუშაობის ხალისს უკარგავს. ნემსაძე მას მისს დარგში ეცილება, არაფერს ანებებს და მარტო საწყობის გამგეთა სთვლის. მაგ., მას ინვენტარის ჩასაწერათ წიგნი არ ჰქონდა, ამის შესაძენათ ფული არ მისცა, რის გამო იძულებული გახდა უბრალო რვეული შეეძინა და იქ ჩაეწერა ინვენტარი. აქაური მუშები კულტურულათ ჩამორჩენილი არიან, მათ გონებრივ განვითარებაზე არავინ ზრუნავს; არა აქვთ გაზეთი, ჟურნალი და წიგნები.

ჯამაგირები ძალიან მცირეა. ამ მცირესაც ბ. მარკუსის მეოხებით ძალიან დაგვიანებით ღებულობენ, ივნისის შუა რიცხვიდან არაფერი მიუღიათ. აძლევენ თვეში 10 გ. ნავთს და 2 გ. საპონს. მაისს აქეთ არც ეს მიუღიათ. ამავე დროს, როგორც საბჭოს ბუღალტერიიდან გამოირკვა, ბ. მარკუსს თავის დროზე მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირები მიუღია (რამოდენიმე მილიარდი არის მიღებული) და თავის დროზე ჯერ-ჯერობით არ დაურიგებია. არის ხშირათ ისეთი შემთხვევა, რომ გასული თვეების თავის დროზედ აღებულ ჯამაგირებს ორი-სამი კვირის და ერთი თვის დაგვიანებით ურიგებს ძველი კურსის მიხედვით. ამ ხნის განმავლობაში კი რას ხმარდება ეს ფული, რომელიც ხელზე რჩება ადმინისტრაციის ზემოხსენებულ პირებს—არ ვიცით. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს თანხა ტრიალებდეს შავ ბირჟაზე ათასგვარ სახის სპეკულიაციისათვის. ასეთს ანგარიშს უწევენ მუშების მდგომარეობას ეს ვაჟბატონები.

მუშებს დელეგატათ ჰყავს ვანო მანაგაძე, მაგრამ საქმის უცოდინარეობის გამო, ვერაფერს აკეთებს, მიუხედავათ იმისა, რომ მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სამთო-მადნო სამმართველოსთან. ამის გარდა ალ. კვალიაშვილმა დაამუშავა ადგილები და ბევრი ბოსტნეულ-ბაღეული დათესა. ამ საქმეში მას უფროსებმა ხელი არ შეუწყვეს, პირიქით ესაყვედურებოდნენ, არაფერს აკეთებო. მოსავლით კი თვითონ მეტს სარგებლობდენ. ბ. ნემსაძე მას უდიერათ ექცევა, ხშირათ ეძახის ბავშვს და საქმის არ მცოდნეს. ნუ თუ დასასრული არ ექნება მათ ასეთ მოქმედებას. სამთა-მადნო განყოფილებას აქამდე უნდა სცოდნოდა ასეთი მდგომარეობა ქარხნისა, რამდენადაც ვიცით, ამის შესახებ, სამთა მადნო განყოფილებას უკვე ამცნეს და მიუხედავათ ამისა, უკანასკნელ დრომდე არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული, რაც პირდაპირ დაუშვებელია. საჭიროა დროით იქნეს მიღებული ენერგიული ზომები ამ მდგომარეობის მოსასპობათ და ყოვლგვარი ბოროტმოქმედების ძირიან-ფესვიანად ამოსაფხვრელათ. თუ ასე არ მოხდება, ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ ბოროტებას უფრო ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ამიტომ უსასტიკესი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

„შამილ“.

პროვინციაში

ყურადღება სოფლის საბჭოთა მოსამსახურეებს

ამ ახლო წარსულში ბევრი რამ დაიწერა სოფლის შესახებ პრესაში, რომ ცოტათი მაინც გაუმჯობესებული ყოფილიყო სოფლის მართვა-გამგეობა და სოფლის მეურნეთა მდგომარეობაც, მხოლოდ სოფლად მყოფ მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის შესახებ კრინტიც არ დაძრულა.

სოფლად მყოფნი მუშა-მოსამსახურენი იმყოფებიან უშუალო დამოკიდებულებაში სოფლის გლეხობასთან, ამისათვის სოფლის მართვა-გამგეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა სოფლის საბჭოთა მოსამსახურეების საშუალო ეკონომიურ პირობებში ჩაყენება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დაახლოებით, 1-ნახ. წლის განმავლობაში საერთოდ მთელ საბჭოთა რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურენი იმყოფებოდნენ ცუდ ეკონომიურ პირობებში, რის გამო ბევრი ქალაქის მუშა-მოსამსახურენი მოდიოდნენ სოფლად, რასაც აგრეთვე ხელი შეუწყო სოფლის ნაწარმოების სიძვირემ. ქალაქიდან ჩამოსულები ეწეოდნენ მეურნეობას და ერეოდნენ აგრეთვე სოფლის საქმეებშიაც, და ვინაიდან ქალაქის მუშა მეტი შეგნებულად ხვდება ცხოვრებას, ვიდრე სოფლის გლეხები, მეტი მომზადებულიცაა ამისათვის, სოფლის ცხოვრებამ ცოტათი წინ წაიწია და დაადგა გაუმჯობესების გზას.

1922 წლის დამლევიდან, ესე იგი, მუშა-მოსამსახურეების კარგ ეკონომიურ პირობებში ჩაყენების შემდეგ ბევრი ქალაქიდან ჩამოსული, ისევ უბრუნდება ქალაქს, ხოლო სოფლად რჩება მხოლოდ სოფლის ცხოვრებაში ჩაბმულნი; მათი სოფლად დარჩენას ხელი შეუწყო უმთავრესად როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშა-მოსამსახურეების ერთნაირად ეკონომიურად უზრუნველყოფამ.

1923 წლის დასაწყისიდან კი სოფლად დარჩენილი, ცოტად თუ ბევრად მომზადებული მუშა-მოსამსახურნი, რომელთაც შეუძლიათ სოფელზე ხელმძღვანელობის გაწევა, სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული, რის გამო ისინიც იძულებულნი არიან დასტოვონ სოფელი და მიაშურონ ქალაქს.

რა დააშავეს სოფლის საბჭოთა მოსამსახურეებმა? რატომ არ ვრცელდება მათზე რესპუბლიკაში არსებული შრომის კანონები?

დანაშაულათ არ უნდა ითვლებოდეს სამსახურისადმი ერთგულება, ან სოფელში ცხოვრება.

მე სახეში მყავს სენაკის მაზრის თემის აღმასკომის თანამშრომლები, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს ძლიერ ცოტას, იმასაც დიდი დაგვიანებით.

მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგს:

ამა წლის ივნისის ჯამაგირი დაახლოვებით 35 მილიონი მანეთი მიიღეს აგვისტოს 6-დან დაწყებული, მიიღეს იმ დროს, როდესაც ერთი თვის ჯამაგირი უნდებოდა 15 გირ. შაქარს.

განა ესაა სოფლის საბჭოთა მოსამსახურეებზე შრომის კანონის გავრცელება? ან შეიძლება არ ვრცელდებოდეს, არ ეხებოდეს შრომის კანონები პერიფერიების მუშა-მოსამსახურეებს?

დასასრულ მე საჭიროდ მიმაჩნია მიექცეს ამას ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რომ სოფლის საბჭოთა მოსამსახურენი შემდგში მაინც დაკმაყოფილებულ იქნან კანონიერად, და თუ დროზე არ იქნა ყურადღება მიქცეული, სოფელი მთლად დაცარიელდება და ყოველგვარი ცდა ზევიდან სოფლის მცხოვრებთა უმწეო ეკონომიურ მდგომარეობიდან გამოყვანისა უნაყოფოდ ჩაიარს.

არის კიდევ ყურადღება მიუქცეველი საკითხები სოფლის საბჭოთა მოსამსახურეების ეკონომიურ მდგომარეობაში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ქ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საერთო საქალაქო დელეგატთა კრება, რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, საერთო საქალაქო პარტიული კრების გამო, გადაიდო.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება.

— პარასკევს, 7 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება კრება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის [illegible]

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მ. [illegible]

ოთხშაბათს, 5 სექტემბერს, დილის 8 საათზე, ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება სამანდატო კომისიის სხდომა მუშათა ფაკულტეტზე და პოლიტეხნიკუმში მიღების შესახებ.

კომისიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა და საჭიროა თავის დროზე გამოცხადება.

შაბათს, 8 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება თათბირი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა შორის სტიპენდიების გამნაწილებელ კომისიისა. კრებაზე მოიწვევიან წარმომადგენლები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კომორგანიზაციისა, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა, სახალხო განათლებისა და პოლიტგანათლების განყოფილებისა.

სააგ. საპრ. განყ. გამგე მ. ესსენი.

ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება მართავს სრულიად საქალაქო დელეგატების კრებას, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის დარბაზში (თავისუფლების მოედანი). ყველა დელეგატებს და ქალთა განყოფილების ორგანიზატორებს წინადადება ეძლევათ აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფილება.

განცხადებები

პურის მარაგი

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ 13 აგვისტოს დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებული იქმნა (ა. წ. 28 აგვისტოს გაზეთ „Заря Востока“ში, 29 აგვისტოს „კომუნისტ“-ში ქართულ ენაზე), **ყველა თვალსაჩინო პურის მარაგი დაწესებულებებს, კოოპერაციებს და კერძო ბითუმად მოვაჭრეებს, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის საზღვრებში, ექვემდებარებიან პერიოდულ აღრიცხვას (4-ჯერ წლის განმავლობაში) პირველი ცნობების მიწოდების ვადად დაწესებულ იქმნა 20 აგვისტო.** მიუხედავათ ამ დადგენილებისა, დღემდის არავის მხრივ არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი ცნობები. **სტატისტიკის ცენტრალი სამმართველო ამით წინადადებას აძლევს ყველა იმ დაწესებულებათ და პირთ, რომელნიც აღნუსხულნი არიან ხსენებულ დადგენილებაში, დაუყოვნებლივ წარმოადგინონ მოთხოვნილი საჭირო ცნობები დადგენილებაში ნაჩვენებ ფორმით.**

მისამართი: ტფილისი, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ბროსეს ქ. № 4.

1173 1—1

ბირჟის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ტფილისის საფონდო-საქონლის ბირჟის საქონლის განყოფილების მაკლერი

აკოფ იაკოფის-ძე ზოდჩიენტოვმა

დაანება თავი სამსახურს 31 ამა მარიამობისთვიდან. თუ ვისმეს რაიმე პრეტენზია აქვს ხსენებულ პირზე საბირჟო გარიგებების შესახებ, ვთხოვთ მიმართონ ბირჟას ა. წ. 15 სექტემბრამდე.

(კრ. 597—2—2)

განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფი

კურსები ბუღალტერიისა

და საკომერციო მეცნიერებისა.

ტ. მ. ფილოიანისა

გაიხსნა ახალი განყოფილება. მიღება ყოველდღე. ტფილისი, პლეხანოვის პრ. 24.

588 5—2

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული** კურსი

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 182.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.

0—40 კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპექტი № 26, ტელ. № 5—43.

ცენტრალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 სექტემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ში განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:

ნონპარელის სტრიქონი პირველ გვერდზე	30 კ. ჩერვონცებით.
„ „ მეოთხე გვერდზე	15 კ. „
თეატრალური განცხადება არა უმეტეს 60 სტ.	30 პროც. დაკლებით.
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ.	4 მანეთი.
საექიმო განცხადება თვეში	4 მანეთი.

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10-ჯერ დაბეჭდილი—10 პროც. დაკლებით.

იქვე მიიღება განცხადებები იმავე წესით თვიურ ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ში, „კომუნიზმის დროშა“-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ში. (6—6)

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენის დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალოს აწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით.
[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (501—26—10)

ქ. ტფილისის მე-11 უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს სასამართლოში (ტურგენევის ქუჩ., 4) როგორც მოპასუხეს ელისაბედ სტეფანეს ასული ქსოვრელს ორ თვის განმავლობაში ამა განცხადების დაბეჭდვის დღიდან უჩვენოს თავისი მისამართი არუთინ იოსების ძე ადამაშვილის საჩივარზე 975 ჩერვონეცზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, უწყება მის სახელობაზე იქნება დატოვებული სასამართლოში და საქმე გაირჩევა არსებით.

სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა). 1169 1—1

დაიკარგა ტყავზე მომუშავეთა კავშირის საწევრო ბარათი № 1164, ბეგლარ ასლამაზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1170 1—1

დაიკარგა საექიმო ფაკულტეტის მატრიკული № 466. ივანე გოგოლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1172 1—1

დაიკარგა მოწმობა მოცემული ჩოხატაურის ტეხნიკუმის 1921 წელს 2 ენკენისთვეს. № 466. ვარდენ სანადირაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1171 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა. [illegible] ქუჩა № 4